პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 296 (10690) | შაბათი, 22 დეკემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსადმი (1-ლი გვერდი).

ესტონური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა (1-ლი გვერდი).

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე. — ვ. კოპალეიშვილი. — ავამაღლოთ ორგანიზატორული მუშაობის დონე (მე-2 გვერდი).

დ. პაიჭაძე. — ბათუმში გაიხსნა სამრეწველო გამოფენა (მე-2 გვერდი).

ეკონომიკის მემსწავლელთა დასახმარებლად. — ვ. დათუკიშვილი. — მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარება მეექვსე ხუთწლედში (მე-2 გვერდი).

მეცნიერება და ტექნიკა (მე-3 გვერდი).

ა. თავაძე. — მეგობრული სტრიქონები (მე-3 გვერდი).

ე. უბილავა. — ნიკოლოზ ოსტროვსკი — გარდაცვალების 20 წლისთავისადმი (მე-3 გვერდი).

ა. ნინუა, ი. გობეჩია. — მოდის ბეჭდვითი პროდუქტები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გავაუმჯობესოთ სოფლის მშრომელთა სამედიცინო მომსახურება

ჩვენს დიად საბჭოთა ქვეყანაში შექმნილია ჯანმრთელობის დაცვის მთელ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სისტემა. კომუნიზმის მშენებელი ადამიანების განკარგულებაშია სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, ამბულატორიების ფართო ქსელი, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრებით.

მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, მათი ჯანმრთელობისათვის ზრუნვა სოციალისტური საზოგადოების თვით ბუნებიდან გამომდინარეობს და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობის უმაღლესი კანონია. ამის მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანმრთელობის დაცვისათვის სახსრების ყოველწლიური ზრდა, მთელი მოსახლეობის უზრუნველყოფა ადვილმისაწვდომი და კვალიფიციური სამედიცინო დახმარებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ მედიცინის მუშაკებს დაუსახა საბრძოლო ამოცანები: უზრუნველყოფილ იქნას ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარება, საბჭოთა მედიცინის მეცნიერული ძალები მთლიანად წარიმართოს პროფილაქტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდებისა და სამუალებების გამოძებნისაკენ, გაუმჯობესდეს სოფლის მშრომელთა სამედიცინო მომსახურება.

ამ საპატიო და პასუხსაგები ამოცანების განხორციელების საქმეში ჩვენი რესპუბლიკის მედიცინის მუშაკები გარკვეულ წარმატებებს აღწევენ, იბრძვიან იმისათვის, რომ ჯანმრთელობის დაცვა სოფლად კიდევ უფრო უკეთ მოაწყონ. ამ მხრივ მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან ახმეტის, საგარეჯოს, თერჯოლის, წალენჯიხის, ქარელის რაიონული საავადმყოფოები, რომლებიც სოფლად სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის ცენტრებს წარმოადგენენ. ასევე შეიძლება ითქვას გეგეჭკორისა და ყვარლის რაიონების საუბნო საავადმყოფოებზე. მრავლად არიან სოფლად ექიმები, რომლებიც თავდადებული, უმწიკვლო მუშაობით მშრომელთა სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებენ. ასეთი მუშაკებია გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის საუბნო საავადმყოფოს მთავარი ექიმი გ. ხელაშვილი, კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის საუბნო საავადმყოფოს მთავარი ექიმი ი. ბიჭინაშვილი, საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკის ბავშვთა კონსულტაციის გამგე პ. ქემერტელიძე და სხვები.

სოფლის მშრომელთა სამედიცინო მომსახურების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. მთელი რიგი, განსაკუთრებით მაღალმთიანი და საზღვრისპირა რაიონები ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არიან ექიმებით. ახალქალაქის რაიონში ექიმის 7 ვაკანტური თანამდებობაა, ლენტეხის რაიონში — 8, ყაზბეგის რაიონში — 9, ხოლო წალკის რაიონში — 10. მთლიანად რესპუბლიკაში ექიმის 230-მდე თანამდებობაა ვაკანტური, მაშინ როცა რესპუბლიკა სრულიადაც არ განიცდის ექიმთა ნაკლებობას. საქმე ის არის, რომ ზოგიერთი ექიმი თავს არიდებს სოფლად სამუშაოდ წასვლას.

მედპერსონალის უპირველესი მოვალეობაა ავადმყოფისადმი გულისხმიერი მოპყრობა. მაგრამ ჯერ კიდევ არის ცალკეული შემთხვევები, როცა საბჭოთა ექიმისათვის ამ ელემენტარულ მოთხოვნას ივიწყებენ, გულგრილ, ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას იჩენენ ავადმყოფისადმი. აბაშის რაიონის სოფელ სამიქაოს საუბნო საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა მ. ლაბარტყავამ დაგვიანებით მოათავსა ავადმყოფი სტაციონარში, არ დააწესა მასზე საჭირო მეთვალყურეობა, გამოეპარა ავადმყოფობის გართულება, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვა.

საბჭოთა ექიმი სოფლად ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორი, უნარიანი ხელმძღვანელი, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. იგი მოსახლეობას კვალიფიციურ ამბულატორიულ და სტაციონარულ დახმარებას უნდა უწევდეს. მაგრამ იმის გამო, რომ ხულოს რაიონში მედიცინის მუშაკები სუსტად ეწევიან ახსნაგანმარტებითს მუშაობას, სისტემატურად არ კითხულობენ ლექციებს სამედიცინო თემებზე, ავადმყოფების ერთი ნაწილი თავს არიდებს ექიმებისა და სამედიცინო დაწესებულებების დახმარებას, ხოლო ზოგჯერ ექიმბაშებსაც კი მიმართავს.

ზოგიერთი სასოფლო სამკურნალო დაწესებულება მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში, რომლის რემონტისათვის თავს არავინ იწუხებს, აღჭურვილი არ არის სათანადო მოწყობილობით. მთელი რიგი საუბნო საავადმყოფოები სუსტად მარაგდებიან კვების პროდუქტებით. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების დონეზე. ზნაურის რაიონის სოფელ ყორნისის საუბნო საავადმყოფო გადაუდებელ რემონტს საჭიროებს, საამისო თანხებიც გამოყოფილია, მაგრამ შენობის შეკეთება მაინც არ მოხერხდა. ამავე დროს საავადმყოფო სათბობით უზრუნველყოფილი არ არის. გათბობა მოუგვარებელია ზნაურის რაიონულ საავადმყოფოშიც.

მკურნალობის დარგში მცირე ნაკლი, პატარა დეფექტიც კი მძიმე შედეგებს იწვევს. ეს ავალებს მედიცინის მუშაკებს უფრო ოპერატიულად იმუშაონ, საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ ჯანმრთელობის დაცვის თვითეულ უბანს.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ექიმთა აღზრდას და კვალიფიკაციის ამაღლებას, სისტემატურად უნდა ეწყობოდეს სოფლად გამსვლელი სამეცნიერო სესიები და კონფერენციები, საოლქო და რესპუბლიკურ სამედიცინო დაწესებულებათა ვალია სოფლად მომუშავე ექიმებს ადგილებზე უწევდნენ კონსულტაციებს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საბრძოლო ამოცანაა მთელი ძალები დარაზმოს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მიაღწიოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა სამედიცინო მომსახურების მკვეთრ გაუმჯობესებას.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი სასოფლო სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობის მოწოდების დონეზე დაყენებას, იზრუნონ სოფლის ექიმებისათვის სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად.

სოფლად მატერიალური დოვლათის შემქმნელნი — შემოქმედი საბჭოთა ადამიანები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სანიმუშო სამედიცინო მომსახურებით.

უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ უკრაინის სსრ კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, გააჩაღეს რა ფართო სოციალისტური შეჯიბრება, მიაღწიეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას და ვადამდე 102 პროცენტით შეასრულეს ხორცის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა. მიმდინარე წელს სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა 234 ათასი ტონით, ანუ 38 პროცენტით მეტი ხორცი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ხორცის წარმოებისა და დამზადების ასეთ დიდ გადიდებას კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიაღწიეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა კარგი მუშაობით მეცხოველეობის ფერმებში, ღორების გასუქების ფართო მასშტაბით ორგანიზაციის შედეგად. 1955 წლის 1 ოქტომბრიდან 1956 წლის 1 ოქტომბრამდე რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და დამხმარე მეურნეობებმა გაასუქეს 5,8 მილიონი სული ღორი, მათ შორის კოლმეურნეობებმა — 3,8 მილიონი სული, რაც 2,5-ჯერ მეტია, ვიდრე წინა წელს იყო. ახლა ასუქებენ დაახლოებით 2,4 მილიონ სულ ღორს. გასულ სამეურნეო წელს კვების საწარმოებში გაასუქეს 630 ათასი სული ღორი. იმ ხორცის საერთო მოცულობაში, რომელიც კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს, ღორის ხორცის ხვედრითი წონა 46 პროცენტს შეადგენს.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება, რომ წლის დამლევამდე დამატებით ჩაებარებინათ 700 ათასი ტონა რძე და ამ ვალდებულების ანგარიშში უკვე ჩააბარეს სახელმწიფოს 823 ათასი ტონა რძე. მატყლის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. დამზადებულია 32 ათასი ცენტნერით მეტი მატყლი, ვიდრე 1955 წელს.

რესპუბლიკამ აგრეთვე შეასრულა პურის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა 100,5 პროცენტით, ზეთოვანი კულტურების თესლისა — 109 პროცენტით, ბოსტნეულისა — 101 პროცენტით და წეკოსი — 117 პროცენტით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ უკრაინის სსრ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ მუშაკებს, ყველა მშრომელთ ხორცისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების საქმეში მიღწეულ წარმატებებს და მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ ისინი კვლავაც კიდევ უფრო მეტი გულმოდგინებითა და ოსტატობით იმუშავებენ, რათა შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი მეცხოველეობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგების შემდგომი აღმავლობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ესტონური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა

ესტონური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში გადაიქცა ხალხთა მეგობრობის ნათელ დღესასწაულად, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის ზეიმად.

20 დეკემბერს ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში დამთავრდა ორი დღის შემოქმედებითი დისკუსია, მიძღვნილი ესტონური პოეზიისადმი. შეჯამა რა განხილვის შედეგები, ნ. ტიხონოვმა აღნიშნა, რომ ესტონურ პოეზიაში გაისმის ძლიერი, გაბედული ხმები, და ამიტომ მას ბევრი მეგობარი ჰყავს. იუხან სმუულის, დებორა ვაარანდის, ელენ ნიიტისა და სხვა პოეტების შემოქმედების მაგალითით მან ცხადყო პოეზიის ნაწარმოებთა ორგანული კავშირი ქვეყნის ცხოვრებასთან, საბჭოთა ადამიანების ფიქრებთან და გრძნობებთან.

რ. პარვემ ესტონელი პოეტების სახელით მადლობა გამოთქვა მეგობრული, საქმიანი განხილვისათვის.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირში ნ. პოგოდინის თავმჯდომარეობით განიხილეს პიესები — ი. სმუულის „ატლანტიკის ოკეანე“, ე. რანეტის „სინდისი“, მაი ტალვესტის „ნათლობა“, გ. სკულსკის „პეეტერ სეპის გამოცდა“.

დიდი წარმატება ჰქონდა ეუგენ კაპის ოპერას „შურისძიების ცეცხლი“. და აი 20 დეკემბერს მოსკოველები გაეცნენ ამ გამოჩენილი ესტონელი კომპოზიტორის მეორე ნაწარმს — ბალეტს „ოქრომრთველები“. მას საფუძვლად დაედო ფ. კრეიცვალდის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ხალხური ზღაპრების თემები.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბალეტი ხელოვნების ყველაზე ახალგაზრდა სახეობაა ესტონეთში, გასაგები იქნება ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელიც დედაქალაქის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ, მაყურებლებმა გამოიჩინეს თეატრ „ესტონეთის“ საბალეტო სპექტაკლებისადმი.

გლეხი ქალიშვილის მეელიკეს მომხიბლავი სახე შექმნა ბალეტ „ოქრომრთველებში“ ბალეტის 18 წლის სოლისტმა ტიიუ რანდვიირმა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ტალინის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლე იყო. საზოგადოება გულთბილად მიესალმა მთავარი როლის შემსრულებელს, სხვა მსახიობებს, ახალგაზრდა ბალეტმეისტერ ვიქტორ პიარის, დირიჟორს ესტონეთის სსრ დამსახურებულ არტისტს კირილე რაუდსეპს.

ტალინის ვ. კინგისეპის სახელობის დრამატულმა თეატრმა 20 დეკემბერს მეორედ აჩვენა ო. ლუტსის გონებამახვილური, მხიარული სპექტაკლი „გაზაფხული“. მოსკოველებმა თეატრ „ვანემუინეს“ სცენაზე ნახეს ა. ხინტის პიესა „ცოუნების სიმღერა“, მიძღვნილი ესტონელ მებადურთა ცხოვრებისადმი.

მოსკოველთა მაღალი შეფასება მიიღო დეკადის დღეებში საბჭოთა ესტონეთის ბევრმა მუსიკალურმა კოლექტივმა. 20 დეკემბერს მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამოვიდა ესტონეთის რადიოს მომღერალთა შერეული გუნდი, რომელმაც მოხიბლა მსმენელნი თავისი ოსტატური შესრულებით. (საკდესი).

წლიური გეგმა ვადამდე გაანაღდეს

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის საწარმოო პროგრამის ვადამდე შესრულებისათვის თავდადებული შრომის შედეგად ჩვენი რესპუბლიკის ბევრმა საწარმომ უკვე შეასრულა წლიური გეგმა და ახლა პროდუქციას 1957 წლის ანგარიშში იძლევა. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი.

კომბინატის კოლექტივმა წლიური საწარმოო პროგრამა 19 დეკემბრისათვის შეასრულა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 90 ტონა ერთძაფიანი ნართი, 78.440 წყვილი წინდა.

11 თვეში პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით შემცირებულია 2 პროცენტით, მნიშვნელოვნად გადიდდა შრომის ნაყოფიერება. მახალებისა და ხათბობის ყაირათიანად ხარჯვის შედეგად განვლილ 11 თვეში გაწეულია 154,4 ტონა ბამბის, 562.700 კილოვატსაათი ელექტროენერგიის, 144,8 ტონა პირობითი საწვავის ეკონომია.

მეტრიკოტაჟეთა ამ მოწინავე კოლექტივს ნაკისრი ვალდებულების მიხედვით წლის ბოლოსათვის უნდა მიეღო 400 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება, ფაქტიურად კი 11 თვეში მიღებულია 1.161 ათასი მანეთი.

წარმატებათა მოპოვებაში თავი ისახელა მეორე ხართავი საამქროს კოლექტივმა, რომელსაც ვ. გამყრელიძე ხელმძღვანელობს. კარგი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა აგრეთვე წინდების საკერავი საამქროს კოლექტივმა, რომელსაც ინჟინერი ნინო ანდრეევა ხელმძღვანელობს. ამ საამქრომ წლიური გეგმა 14 დეკემბრისათვის შეასრულა და კარგი მუშაობისათვის კომბინატის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. დაწინაურდნენ საქსოვი საამქროს ბრიგადები, რომლებსაც ი. ქურდაძე, დ. ბედოშვილი ხელმძღვანელობენ.

სურათზე: ზემოთ — წინდების საქსოვი საამქროს მოწინავე მუშები ქ. ეღინტი (მარცხნივ) და დ. დარბაიძე ამოწმებენ მოქსოვილი წინდის ხარისხს. ქვემოთ — მეფთილე ქ. კენკეშვილი თავის სამუშაო დაზგასთან. მან პირადი წლიური საწარმოო გეგმა 1 ივლისისათვის შეასრულა და მას შემდეგ პროდუქციის იძლევა 1957 წლის ანგარიშში.

ფოტო შ. გოქაძისა.

საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა შენარჩუნებულია

 წითელწყაროს. (საკ. კორ.). წლობით არ სრულდებოდა მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმები ელდარის საბჭოთა მეურნეობაში. დაბალი იყო მატყლისა და რძის გამოსავლიანობა.

წელს ელდარელმა მეცხვარეებმა არსებითად გარდაქმნეს მუშაობა. მათ წარმატებით შეასრულეს მატყლის, რძის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიღების დავალებანი. შარშანდელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა მატყლის შემოსავალი, გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფო დამზადების გეგმები, შემცირდა ხორცისა და მატყლის თვითღირებულება.

ამ დღეებში ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ და მუშათა კომიტეტმა მიიღეს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრის ამხ. ბენედიქტოვის დეპეშა, რომელშიც იგი მთელ კოლექტივს ულოცავს მაღალ წარმატებებს, საბჭოთა კავშირის გარდამავალი წითელი დროშის შენარჩუნებას და პირველი ფულადი პრემიის მინიჭებას.

წელს ელდარელ მეცხვარეთა ეს მეორე გამარჯვებაა. მათ საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიიღეს აგრეთვე ნახევარი წლის სახელმწიფო დავალების წარმატებით შესრულებისათვის.

ახალი ელექტროსადგური

ონი. (საკ. კორ.). ყოველწლიურად მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება რაიონის მთლიანი ელექტროფიკაციისათვის. წელს მდინარე ქვედრულაზე აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ჰიდროელექტროსადგური. სამრეწველო ობიექტებს გარდა იგი მომსახურებას გაუწევს სოფლების ქვედის, წიდისის, ორისა და ჩორდის მოსახლეობას.

თბილისი. ახალ საცხოვრებელ სახლთა კვარტალებმა დაამშვენეს საბურთალო, სადაც ახლა დიდი მასშტაბის სამინაო მშენებლობაა გაჩაღებული. სურათზე: ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის შენობა (მარცხნივ), ახალ საცხოვრებელ სახლთა კორპუსები და მოედანი სკვერით.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

ავამაღლოთ ორგანიზაციული მუშაობის დონე

ვანის რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებთან ერთად დიდი ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საკითხებს.

ახორციელებენ რა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, წელს რაიონის კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 1955 წელთან შედარებით 1 ცენტნერით გადიდდა, გადაჭარბებით არის შესრულებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობისა და წველადობის ზრდის გეგმები. მაგრამ ეს შედეგები არ შეესაბამება იმ შესაძლებლობებს, რომლებიც რაიონის კოლმეურნეობებს აქვთ. მომხსენებელმა — პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანმა გ. ლილუაშვილმა და კამათის მონაწილე დელეგატებმა აღნიშნეს, რომ რაიკომმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აამოქმედეს საკოლმეურნეო წარმოების ყველა რეზერვი.

მშრომელთა შორის პარტიული ორგანიზაციების არასაკმაო ორგანიზატორული მუშაობის შედეგად რაიონის 25 კოლმეურნეობიდან სიმინდის მოსავლიანობის გეგმა ვერ შეასრულა ჩვიდმეტმა. ხოლო წველადობისა — 9 კოლმეურნეობამ.

აღსანიშნავია, რომ ახალი სამეურნეო წლიდან მეცხოველეობის ფერმებში საგრძნობლად იკლო წველადობამ. მაგალითად, ოქტომბერ-ნოემბერში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წველადობა 42,5 პროცენტით არის შემცირებული. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სოფლების ყუმურის, ციხესულორის, სალხინოს, ზეინდრის, შუამთისა და სხვა კოლმეურნეობებში.

კამათის მონაწილე დელეგატთა გამოსვლებიდან გამოირკვა, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოები ღრმად ვერ სწვდებიან კოლმეურნეობების ეკონომიკას. რაიონში ბევრი ჩამორჩენილი კოლმეურნეობაა, მაგრამ მათი ეკონომიკის ასამაღლებლად გადამწყვეტ ზომებს არ იღებენ. სოფელ ზედა ვანის კოლმეურნეობა „ახალი გზის“ პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ნ. ნიკოლეიშვილმა გააკრიტიკა პარტიის რაიკომი, მტს-ი და რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისადმი არასაკმაო დახმარებისათვის.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები კოლმეურნეობებში არ დადიან. მაგრამ ისინი უფრო ზოგად მითითებათა მიცემით კმაყოფილდებიან და ღრმად არ ეცნობიან ადგილზე შექმნილ მდგომარეობას.

რაიკომი და პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საკოლმეურნეო კადრების სწორად შერჩევისა და აღზრდისათვის. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთი ცენტრალური ფიგურის შესახებ, როგორიც არის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ზოგჯერ ამ პასუხსაგებ სამუშაოზე შემთხვევითს ადამიანებს აწინაურებენ, რის გამო ბევრი მათგანი ვერ ამართლებს კოლმეურნეთა ნდობას. მაგალითად, სოფელ უხუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ასარჩევად პარტიის რაიონულმა კომიტემა რეკომენდაცია მისცა გ. ოქროპირველაშვილს, რომელიც ამას წინათ საკოლმეურნეო დოვლათის დატაცებისათვის სკკპ რიგებიდან იქნა გარიცხული.

კონფერენციაზე სერიოზული ნაკლოვანებები იქნა გამოაშკარავებული იდეოლოგიური მუშაობის დარგში. პარტიული პროპაგანდა და პოლიტიკური აგიტაცია კოლმეურნეობებში მოწყვეტილია პრაქტიკულ ამოცანებს, ცხოვრებას. ამჟამად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიური ცოდნის პროპაგანდას. დელეგატების გამოსვლამ კი ცხადყო, რომ რაიკომი ძალიან ცოტას აკეთებს ამ მხრივ. დიხაშხოს კოლმეურნეობის კომუნისტებმა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესწავლის სურვილი გამოთქვეს. მაგრამ, იმის გამო რომ რაიკომმა სათანადო მომზადების მქონე პროპაგანდისტი ვერ შეარჩია, კომუნისტების მოთხოვნა აქამდე შესრულებული არ არის. ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით იკითხება ლექციები კონკრეტული ეკონომიკის, ხალხთა მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის საკითხებზე. არის შემთხვევები, როცა ლექციები კომუნისტების სურვილისა და მომზადების დონის გაუთვალისწინებლად ეწყობა.

— ჩვენთან, — განაცხადა სოფელ დიხაშხოს კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა კ. სუპატაშვილმა, — ხშირად ასე ხდება: ლექციის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე რაიკომიდან ტელეფონით გვაფრთხილებენ — ლექცია იქნება წაკითხული, დასწრება უზრუნველყავითო. მაგრამ ასე ნაჩქარევად მოწყობილ ლექციას ძალიან ცოტა სარგებლობა მოაქვს.

კონფერენციამ პარტიის რაიკომის ახალი შემადგენლობისაგან მოითხოვა საკოლმეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, მასებში ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერება და ამ საფუძველზე სოფლის მეურნეობის დარგში მეექვსე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების უზრუნველყოფა.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი. პარტიის ვანის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია გ. ლილუაშვილი, მეორე მდივნად — ნ. ლორთქიფანიძე, მდივნად მტს-ის ზონაში — ლ. იობიძე.

ვ. კოკალეიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სუბტროპიკული მიწათმოქმედების მექანიზაციის ზრდა

საქართველოს მტს-ებში აჯამებენ კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს. წინასწარი მონაცემები მოწმობენ, რომ შარშანდელთან შედარებით სუბტროპიკული მიწათმოქმედების მექანიზებული სამუშაოები მნიშვნელოვნად გადიდდა მახარაძის, გალის, ზუგდიდისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებში.

მანქანებით დამუშავებულ მეტ წილ პლანტაციებში ჰექტარზე მიღებულია 5-6 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში. მექანიზატორები დაეხმარნენ მეჩაიეობის კოლმეურნეობებს დაეზოგათ 100 ათასზე მეტი კაც-დღე.

მძლავრი ტრაქტორებისა და სპეციალური მანქანების საშუალებით მთების ფერდობებზე ბუჩქნარისაგან გაწმენდილ იქნა ასობით ჰექტარი მიწები, რომლებიც გადაქცეულია მანდარინის ბაღებად. გაფართოვდა სადრენაჟო ქსელის მექანიკური გაყვანის, ქარსაცავი ზოლების გაშენებისა და პლანტაციებში გზების მშენებლობის სამუშაოები. (საქდესი).

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„შევიხედოთ სკუდენჯთა ქალაქში...“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 2 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი შეეხებოდა სტუდენტთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს. როგორც საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი რედაქციას ატყობინებს, აღნიშნული წერილი განხილულ იქნა რაიკომის ბიუროს სხდომაზე.

სტუდენტთა ქალაქის სამმართველოს და პარტორგანიზაციას ბიუროომ დაავალა მიმდინარე რემონტის ჩატარების დროს გაითვალისწინონ დაუმთავრებელ სამუშაოთა შესრულება, უზრუნველყონ სტუდენტები საკმაო კარადებით, მოაწესრიგონ სტუდქალაქის დაცვის საქმე.

სტუდქალაქის კლუბის გამგეს ამხ. ო. კერესელიძეს დაევალა უმოკლეს დროში გარდაქმნას კლუბის მუშაობა, შემოიკრიბოს სტუდენტთა აქტივი, შექმნას მხატვრული თვითმოქმედების წრეები.

უმაღლესი სასწავლებლების პარტორგანიზაციების მდივნებს დაევალათ სერიოზული ყურადღება მიაქციონ სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებს, გააძლიერონ კავშირი პროფესორ-მასწავლებლობასა და ახალგაზრდობას შორის.

ბიუროომ დაავალა რაიონის მილიციის გაწყოფილებას სათანადო ყურადღება მიაქცინ სტუდქალაქში წესრიგის დაცვას, გამწვანების რაიონულ კანტორას (უფროსი ამხ. ა. ფხაკაძე) დაევალა პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სტუდქალაქის სამმართველოს ტერიტორიის გამწვანებისა და ნარგავების მოვლის საქმეში.

რაიკომის ბიუროომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების წინაშე დააყენა საკითხი გამოჰყოს თანხები სტუდქალაქის საავადყოფოსა და ტუბსანატორიუმისათვის რბილი და მაგარი ინვენტარის შესაძენად და კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად. „სოიუზპეჩატის“ თბილისის განყოფილების წინაშე დაყენებულია საკითხი მოაწყოს სტუდქალაქის ტერიტორიაზე ჟურნალ-გაზეთების კიოსკი.

„საქსანტექმონტაჟის“ ტრესტის თბილისის № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსს ამხ. მაისურაძეს რაიკომის ბიუროს დადგენილების შეუსრულებლობისათვის გამოეცხადა საყვედური. სტუდენტთა ქალაქში არსებული ნაკლოვანებებისათვის მმართველი ამხ. მ. პირველი გაფრთხილებულ იქნა.

გათუმში გაიხსნა სამრეწველო გამოფენა

ამას წინათ სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მუშათა საცხოვრებელ უბანში, მენავთობეთა კულტურის სასახლეში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სამრეწველო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია ბათუმის სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ნიმუშები.

ბათუმის და მთელი აჭარის მშრომელები გამოფენისადმი ცხოველ ინტერესს იჩენენ. ეს ინტერესი გასაგებიც არის. გამოფენა სწორედ იმ დროს გაიხსნა, როცა 1956 წლის მუშაობას აჯამებს ყველა საწარმო, საამქრო, ბრიგადა და მეშა. იგი მიძღვნილია პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბათუმის მშრომელთა მიერ გაჩაღებული ბრძოლის პირველი შედეგებისადმი.

ბათუმის მრეწველობამ 14 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა და ამით პირნათლად გაანაღდა გასულ წელს სოხუმელ თანამოძმეებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ნაკისრი ვალდებულებები. როგორ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს ცალკე საწარმოები, როგორია მათი მუშაობის შედეგები, ყოველივე ამას ნათლად ასახავს საქალაქო სამრეწველო გამოფენა.

გამოფენაზე დიდი ადგილი უჭირავს სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის პროდუქციას. ამ საწარმოს სახელოვანმა კოლექტივმა 14 დეკემბერს შეასრულა სახელმწიფო გეგმა, განვლილ 11 თვეში გასწია 2.100 ტონაზე მეტი საწვავის და 575 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია.

პროდუქციის მრავალი ახალი სახის გამოშვება აითვისა წელს გემშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა. აქ აითვისეს კომფორტაბელური სამგზავრო თბომავლებისა და სწრაფმსვალი სამგზავრო გლისერების წარმოება. ერთი ასეთი გლისერი კულტურის სასახლის შესასვლელთან დგას. აქვეა ქარხნის ახალი პროდუქცია — იალქნიანი გადამრჩენი ნავი 30 კაცისათვის, სასეირნო და სამუშაო ნავები და სხვა პროდუქციის ნიმუშები. გამოფენაზე წარმოდგენილი დიაგრამები გვაუწყებენ, რომ მეექვსე ხუთწლედის დამლევისათვის ბათუმელი გემშემკეთებლები სამჯერ და უფრო მეტად გაადიდებენ პროდუქციის გამოშვებას, გააფართოებენ პროდუქციის ასორტიმენტს.

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა მრავალნაირ მანქანა-მოწყობილობას ამზადებს ჩაის, ღვინის, საკონსერვო, რძის და პურის ქარხნებისათვის, აგრეთვე ქვების მრეწველობის სხვა საწარმოებისათვის.

„გლავნეფტესბიტის“ ბათუმის სასაქონლო-სატრანსპორტო სამმართველოს სტენდზე წარმოდგენილია შუშის კოლბებში ჩასხმული ყველა იმ 36 სახეობის პროდუქციის ნიმუშები, რომლებსაც სამმართველო იღებს ჩვენი ქვეყნის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნებიდან და გზავნის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ლამაზად მოწყობილი სტენდი გვაუწყებს ბათუმის ნავსადგურის კოლექტივის მიერ წელს მოპოვებულ წარმატებებს. ახლა ნავსადგურში შემოსულ თითქმის ყველა გემზე იყენებენ ჩქაროსნულ მეთოდს. იქვე გამოფენილია რკინიგზის ბათუმის კვანძის მოწინავე საწარმოების ნაყოფიერი მუშაობის ამსახველი დიაგრამები.

ბათუმის მომთუთიებელი ქარხნიდან გამოფენაზე გამოტანილია ამ ქარხნის ყველა ნაწარმის ნიმუში. მათ შორის ახლადათვისებული პროდუქციის ნიმუშებიც — ორქანიანი საოჯახო ღუმელი, ორიგინალური კონსტრუქციის ტახტი და ა. შ.

შენობის მეორე სართული მთლიანად დათმობილი აქვს მსუბუქი, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის ნიმუშებს — ციტრუსკომბინატის, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის, თევზის ქარხნის და სხვა საწარმოთა პროდუქციის ნიმუშებს.

ყურადღებას იპყრობს კოფეინის ქარხნის, ქალაქის სამრეწველო კომბინატის, სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკების, ტყავის და ფანერის ქარხნების ექსპონატები, აგრეთვე ავეჯის ფაბრიკის ახალი პროდუქცია — დაფანერებული შიფონერი, საწოლები, სერვანტი, მრგვალი გასაშლელი მაგიდა, საწერი მაგიდა და მრავალი სხვა მაღალი ოსტატობით ნაკეთები ნაწარმი.

გამოფენის მუშაობის დღეებში მენავთობეთა კულტურის სასახლეში ეწყობა ლექციები და საუბრები, შეხვედრები ნოვატორებთან, აგრეთვე მხატვრული თვითმოქმედების სალამო-კონცერტები.

გამოფენა დეკემბრის დამლევამდე გასტანს.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — მნახველები ეცნობიან ხილის სახეზი მანქანების მუშაობას; ქვემოთ — ბათუმის ციტრუსკომბინატის სტენდი გამოფენაზე.

ფოტო ნ. ანახტახიევისა.

გერანის უხვი მოსავლის მიღებისათვის

ყვარელი. (საკ. კორ.). გავაზის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას წელს გერანის პლანტაცია გაშენებული ჰქონდა 7 ჰექტარზე. იგი სანიმუშოდ დაამუშავეს და შედეგიც კარგი მიიღეს. გეგმით საშუალოდ ჰექტარზე 70 ცენტნერი გერანის მწვანე მასა უნდა მოეყვანათ, ფაქტიურად 120 ცენტნერი მოიყვანეს.

გერანის მწვანე მასის მიღებაში ყველას აჯობა კოლმეურნე მარტია ალადოშვილმა. 0,7 ჰექტარზე მან 260 ცენტნერი გერანის მწვანე მასა მიიღო, გეგმა კი 49 ცენტნერს ითვალისწინებდა. ალადოშვილმა მარტო პრემიის სახით 5.490 მანეთი მიიღო. პრემიები მიიღეს სხვა კოლმეურნეებმაც.

გერანის პლანტაციამ კოლმეურნეობას 160.682 მანეთი შემოსავალი მისცა.

ეკონომიკის შემსწავლელთა დასახმარებლად

მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარება მეექვსე ხუთწლედში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში დასახულია სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის ამოცანები და მათი განხორციელების გზები. დირექტივები ითვალისწინებენ მატერიალური დოვლათის საზოგადოებრივი წარმოების ყოველწლიურ გადიდებას, ამასთან პირველ რიგში წარმოების საშუალებათა წარმოების თანმიმდევრულ უპირატეს ზრდას.

დიდი ლენინი გვასწავლის, რომ სოციალიზმის ერთადერთი მატერიალური საფუძველი შეიძლება იყოს მსხვილი მანქანური ინდუსტრია, რომელსაც შეუძლია გარდაქმნას არა მარტო მთელი მრეწველობა, არამედ სოფლის მეურნეობაც. რატომ წარმოადგენს მძიმე ინდუსტრია და, კერძოდ, მანქანათმშენებლობა სოციალიზმის ეკონომიურ საფუძველს? უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მძიმე ინდუსტრია, როგორც ლენინი მიგვითითებს, თავს უყრის მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევას, რაც შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, მისი ზრდა კი საბოლოო ანგარიშით კაპიტალიზმზე კომუნიზმის გამარჯვების უმთავრესი პირობაა. მხოლოდ მძიმე ინდუსტრია ქმნის ხოფლის მეურნეობის გარდაქმნისა და განვითარების შესაძლებლობას, ვინაიდან იგი აწარმოებს სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ტრაქტორებს, კომბაინებს და სხვა სახოფლო-სამეურნეო მანქანებს. ყოველივე ეს კი საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების ეკონომიურ ბაზას წარმოადგენს. თანამედროვე მძიმე ინდუსტრია აუცილებელი პირობაა ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის. ის უმთავრესი ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი სოციალისტური ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას.

მძიმე ინდუსტრიის პირველ რიგში განვითარება საშუალებას იძლევა შევაჩარაოოთ სოციალისტური სახალხო მეურნეობა უმაღლესი ტექნიკით და უზრუნველყოთ წარმოების განუწყვეტელი ზრდა, ეს უკანასკნელი კი მთელი სოციალისტური საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების მთავარი საშუალებაა.

მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდა აუცილებელია არა მარტო იმისათვის, რომ მან მოწყობილობით უზრუნველყოს როგორც თავისი საკუთარი საწარმოები, ისე სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგის საწარმოებიც, არამედ იმიტომაც, რომ მის გარეშე საერთოდ შეუძლებელია განხორციელდეს გაფართოებული კვლავწარმოება, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჩვენი სოციალისტური ქვეყნის წინსვლა, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

მსხვილი ინდუსტრია სოციალისტურ ქვეყანაში კულტურის განუხრელი აღმავლობის ძირითადი პირობაა, ვინაიდან „იმისათვის, რომ კულტურულნი გავხდეთ, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, — საჭიროა წარმოების მატერიალურ საშუალებათა ერთგვარი განვითარება“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 561).

თუ ყველა კაპიტალისტურმა ქვეყანამ, სადაც პირველ რიგში პირადი მოხმარების საგნების მწარმოებელი დარგები ვითარდება, უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში შეძლო სამრეწველო პროდუქციის წარმოების გადიდება მხოლოდ 2-ჯერ, საბჭოთა კავშირმა ამავე პერიოდში თავისი სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაადიდა 20-ჯერ. მძიმე ინდუსტრიის უპირატესმა განვითარებამ საშუალება მისცა ჩვენს ხალხს საბჭოთა კავშირი მოკლე ვადაში (13 წელიწადში) გადაექცია ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნიდან მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ.

თუჯის, ფოლადის, ალუმინის, სპილენძის, მანქანათმშენებლობის პროდუქციის, ელექტროენერგიის წარმოებით და ქვანახშირის ამოღებით საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ევროპის ქვეყნებს და მტკიცე ნაბიჯით ეწევა ამერიკის შეერთებულ შტატებს.

მძიმე მრეწველობის ეს გიგანტური აღმავლობა მიღწეულ იქნა ახალი საზოგადოების წარმატებითი მშენებლობის, საბჭოთა ხალხის დაუღალავი, გმირული შრომის, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა შედეგად, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით.

პარტიის XX ყრილობამ მტკიცედ გაითვალისწინა რა დიდი ლენინის მითითება წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის შესახებ, განსაკუთრებული ზრუნვის საგნად დასახა მძიმე ინდუსტრიის მძლავრი განვითარება, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საფუძველთა საფუძველია.

თუ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა მეექვსე ხუთწლედში გადიდდება 65 პროცენტით და მოხმარების საგნების წარმოება დაახლოებით 60 პროცენტით, წარმოების საშუალებათა წარმოების პროდუქცია იმავე პერიოდში გადიდდება 70 პროცენტით, ანუ 1940 წელთან შედარებით გაიზრდება 6,6-ჯერ.

მეექვსე ხუთწლედში შემდგომ განვითარდება მძიმე ინდუსტრიის მთავარი დარგები. 1960 წელს ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ იქნება დაახლოებით 53 მილიონი ტონა თუჯი, ანუ 3,6-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს; 68 მილიონ 300 ათასი ტონა ფოლადი, ანუ 3,7-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს; 52 მილიონ 700 ათასი ტონა ნაგლინი, ანუ 4-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს; 1960 წელს ქვანახშირის ამოღება გათვალისწინებულია გადიდდეს 1955 წელთან შედარებით 52 პროცენტით, ნავთობის ამოღება — 91 პროცენტით, გაზისა — თითქმის 4-ჯერ; მინერალური სასუქების წარმოება უნდა გაიზარდოს თითქმის 20 მილიონ ტონამდე, რაც 6,5-ჯერ გადააჭარბებს 1940 წლის გამომუშავებას და ერთიორად და მეტად — 1955 წლის გამომუშავებას.

მეექვსე ხუთწლედში დასახულია ამოცანა, რომ მრეწველობის ზრდის ტემპებს წინ უსწრებდეს ელექტროენერგიის წარმოება, რადგან ჩვენი სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგის — მძიმე ინდუსტრიის განვითარება მიმართულია იქითკენ, რომ ყველგან ორთქლის წევა შეცვლილ იქნას თანდათანობით ელექტროენერგიის წევით, ვინაიდან სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით ელექტროენერგიის გამოყენება უფრო ეფექტიანია და იაფი ჯდება, ვიდრე ორთქლისა. თუ მეექვსე ხუთწლედში მრეწველობის საერთო პროდუქცია დიდდება 65 პროცენტით, ელექტროენერგიის წარმოება უნდა გადიდდეს 88 პროცენტით, ხოლო ელექტროსადგურთა სიმძლავრე 2,2-ჯერ.

მეექვსე ხუთწლედში სწრაფი ტემპით ვითარდება მანქანათმშენებლობის ყველა დარგი, პირველ რიგში ჩარხმშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობა. აღნიშნულ პერიოდში მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია დასახულია გადიდდეს 80 პროცენტით, ხოლო ლითონსაჭრელი ჩარხების გამოშვება თითქმის ერთიორად.

ბუნებრივია, რომ ჩვენი მშობლიური მრეწველობის მძლავრი განვითარება მოითხოვს პირველ რიგში საშენი მასალების წარმოების სწრაფ განვითარებას. ამიტომ მეექვსე ხუთწლედში დასახულია ცემენტის წარმოების აყვანა 55 მილიონ ტონამდე, თითქმის 6-ჯერ გადიდდება ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოება, ერთიორად და მეტად — მოსაპირკეთებელი მასალების, შიფერის, სანიტარულ-ტექნიკური ნაწარმისა და სხვა საშენი მასალების წარმოება.

წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის განხორციელების შედეგად მეექვსე ხუთწლედის ბოლოს ჩვენი ქვეყანა გამოიმუშავებს მეტ ფოლადს, ელექტროენერგიას, ცემენტს, სათბობს, ვიდრე ამჟამად აწარმოებენ მათ ინგლისი, საფრანგეთი და დასავლეთი გერმანია ერთად. სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის მხრივ საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვნად მიუახლოვდება ამერიკის შეერთებულ შტატებს.

წარმატებით ხორციელდება პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანა მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების შესახებ. მიმდინარე წლის ათ თვეში მრეწველობის იმ დარგების პროდუქცია, რომლებიც წარმოების საშუალებებს აწარმოებენ, 11 პროცენტით და მეტით გადიდდა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით. ჩვენი ქვეყანა მიმდინარე წელს მიიღებს 49 მილიონ ტონა ფოლადს, 430 მილიონ ტონა ქვანახშირს, 84 მილიონ ტონა ნავთობს, 192 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას და ა. შ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმით მძიმე ინდუსტრიის უპირატეს ზრდასთან ერთად სწრაფად გაიზრდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგები, კერძოდ, მსუბუქი და კვების მრეწველობა.

ხელოვნური ბოჭკოს გამოშვება 1960 წელს გადიდდება 330 ათას ტონამდე; უზრუნველყოფილ იქნება 1960 წლისათვის მინის ბოჭკოს გამოშვება 5 ათასი ტონის რაოდენობით და ხელოვნური საპირე ტყავისა — 51 მილიონი კვადრატული მეტრის რაოდენობით. აღნიშნულ პერიოდში ამუშავდება დაახლოებით 3.166 ათასი სართავი თითისტარი, 95 ათასი საქსოვი დაზგა, აგრეთვე სამძლავრენი 255 ათასი ტონა ხელოვნური ბოჭკოს და 85 მილიონი წყვილი ფეხსაცმლის წარმოებისათვის.

კვების მრეწველობის დარგში კი გათვალისწინებულია სასურსათო საქონლის წარმოების შემდგომი მძლავრი გადიდება. მეექვსე ხუთწლედის პერიოდში ერბო-კარაქის წარმოება გადიდდება 56 პროცენტით, ხოლო რძის სხვა პროდუქტებისა — 2,7-ჯერ. აღნიშნულ პერიოდში აშენდება კვების მრეწველობის მძლავრი საწარმოები.

მძიმე ინდუსტრიის მძლავრი განვითარების შედეგად ჩვენი სოფლის მეურნეობა მეტი რაოდენობით იღებს ძანქანებსა და იარაღებს. მარტო უკანასკნელ სამ წელიწადში ჩვენმა სოფელმა მიიღო 650 ათასზე მეტი ტრაქტორი (15-ძალიანზე გაანგარიშებით), 142 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 345 ათასი სატვირთო მანქანა და სხვა.

მიმდინარე წელს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე ფართოდ ვითარდება მსუბუქი და კვების მრეწველობა. განვლილ თვეებში მსუბუქმა და კვების მრეწველობამ 10 პროცენტით გაადიდა პროდუქციის გამოშვება, გააფართოვა გამოშვებული საქონლის ასორტიმენტი და გააუმჯობესა მისი ხარისხი.

ახალ ხუთწლედში მძლავრად განვითარდება მძიმე ინდუსტრია ჩვენს რესპუბლიკაში. გათვალისწინებულია ხუთწლედის განმავლობაში თუჯის გამოდნობა გადიდდეს 1,6-ჯერ, ნაგლინის წარმოება და მარგანეცის ამოღება — 1,5-ჯერ, ქვანახშირის მოპოვება — 1,4-ჯერ, ცემენტისა — 3,1-ჯერ და სხვ. გათვალისწინებულია ახალი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რაც წარმატებით ხორციელდება.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები წარმატებით ასრულებენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, მთელ თავიანთ ძალებს ახმარენ წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის უზრუნველყოფის საქმეს, რის საფუძველზე მძლავრ აღმავლობას განიცდის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, დღითიდღე უმჯობესდება საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა.

ვ. დათუკიშვილი,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მეცნიერება და ტექნიკა

აპარატი „ელექტროძილი“



ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ელექტროსამედიცინო აპარატურის ქარხანაში დამზადებულია აპარატ „ელექტროძილის“ პირველი პარტია.

აპარატის თვით სახელწოდებაც გულისხმობს მის დანიშნულებას. იგი წარმატებით ცვლის სხვადასხვა-გვარ სამკურნალო საშუალებებს, რომლებსაც იყენებენ ჰიპერტონიული ავადმყოფობის, ნერვულ და სხვა დაავადებათა ძილით მკურნალობის დროს. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას ნარკოზის ნაცვლად ქირურგიული ოპერაციების დროს.

ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მაღალი სიხშირის დენის ზეგავლენით იწვევენ ღრმა და ხანგრძლივ ძილს, ამასთან ავადმყოფის ორგანიზმში ეს არ იწვევს რაიმე სხვა მოვლენებს, რომლებიც ჩვეულებრივ თან ახლავს ნარკოტიკების გამოყენებას.

აპარატი „ელექტროძილი“ კონსტრუირებულია ექსპერიმენტალური აპარატურისა და ინსტრუმენტების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ.

სურათზე: მემონტაჟე ს. ი. როდინი ამოწმებს აპარატ „ელექტროძილის“ ელექტროსქემას.

ფოტო ვ. იანკოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ავტომატიზებული თბოელექტროცენტრალი

სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურომ შეიმუშავა 300 ათასი კილოვატის სიმძლავრის ავტომატიზებული თბოელექტროცენტრალის პროექტი.

ავტომატიზებულ თბოელექტროცენტრალს რამდენიმე კაცი ემსახურება, რაც ძალიან ამცირებს მომსახურე პერსონალის რიცხვს.

თბოელექტროცენტრალის მუშაობის დროს ოპერატორი ელექტროსიგნალის საშუალებით იგებს ტექნოლოგიური პროცესის დარღვევის შედეგს. მაგალითად, თუ მწვანე ნათურა ანათებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ელექტროძრავა მუშაობს, თუ წითელი ნათურა, — ძრავა გაჩერებულია.

თბოელექტროცენტრალში კომპლექსური ავტომატიზაციის გამოყენება საშუალებას იძლევა ყოველწლიურად დაიზოგოს 18 ათასი ტონა სათბობი და ორ მილიონ მანეთამდე თანხა მომსახურე პერსონალის შემცირების გზით.

„ᲖᲐᲒᲠᲐ-603“

ქ. კოპრჟივნიცის (ჩეხოსლოვაკია) ავტოქარხანა შეუდგა ახალი ტიპის მსუბუქი მანქანების „ტატრა-603“-ის გამოშვებას. მანქანა გამოირჩევა მთელი რიგი ტექნიკური სიახლით.

ამჟამად წარმოებს „ტატრა-603“-ის მრავალმხრივი გამოცდა, რის შედეგადაც მანქანის კონსტრუქციაში შეტანილი იქნება დამატებითი გაუმჯობესებანი. გამოცდის შემდეგ დაიწყება ახალი ტიპის ავტომანქანის სერიული გამოშვება.

ახალი მანქანები თბილისის ქარხნებში

ჩვენი რესპუბლიკის მანქანათმშენებელი ქარხნები სულ ახალ-ახალი მანქანა-დანადგარებით იარაღდება. ამას წინათ თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანა „დაზგაში“ გაიხსნა მოძრავი ხრახნის საამქრო, რომელიც სამამულო ჩარხებით შეივსო. ეს საამქრო რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველია, რომელიც ამზადებს ყოველი სახის ჩარხის გრძელ მოძრავ ხრახნებს.

მოძრავი ხრახნის დამამზადებელმა საამქრომ, რომელსაც ინჟინერი შ. ლაფაჩი ხელმძღვანელობს, პროდუქციის გამოშვების ნოემბრისა და დეკემბრის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

ახალ ჩარხებზე მუშაობენ გამოცდილი ხარატები. მათ შორის მოწინავეა ხარატი მ. სადოვი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს.

ქარხნის ინჟინერთა და მუშათა ერთი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ინჟინერები გ. ვაცაძე და გ. მოისწრაფიშვილი, ბრიგადირი ა. თოდაძე და ზენკალა ნ. ხურდა, იყო ლენინგრადის სახეხი ჩარხების მშენებელ ქარხანა „ილიჩში“. აქ მათ გულდასმით შეისწავლეს და შემდეგ თვითონ ააწყეს „3110-მ“ მარკის უნივერსალური სახეხი ჩარხი.

ამ ჩარხით დამზადდება უზუსტესი ხელსაწყოების ნაწილები. წინათ არსებული ჩარხებისაგან განსხვავებით უნივერსალური სახეხი ჩარხი ერთდროულად ორ პროცესს — ხელსაწყოების დეტალების შიდა და გარე მრგვლად ხეხვას — ასრულებს.

უნივერსალური ჩარხის მთლიანი კომპლექტი ლენინგრადელებმა გამოუგზავნეს თბილისელ ჩარხმშენებლებს. ახლა მემდინარეობს ამ ჩარხის აწყობა, ხოლო მომავალი წლის პირველ კვარტალში დაიწყება მისი სერიული გამოშვება.

ელექტროსადგური ვაგონქვეშ

თვითეულ მთლიანლითონის სამგზავრო ვაგონს თავისი ელექტროსადგური აქვს. მისი გენერატორის როტორი ბრუნავს თვლების ღერძიდან ორთქლის ღვედური გადაცემის დახმარებით. მატარებლის მოძრაობისას გენერატორი ელექტროენერგიით კვებავს არა მარტო ვაგონების მოწყობილობას, არამედ მისი მეშვეობით იმუხტება აკუმულატორის ბატარიაც, რომელიც მუშაობს მხოლოდ ვაგონის გაჩერების დროს.

აკუმულატორებისათვის საჭიროა მუდმივი დენი. ამიტომ ვაგონების ელექტროსადგურები დღემდე აგებული იყო მუდმივი დენის ბაზაზე. თანამედროვე ფიზიკის მიღწევები ხახევრადგამტარების დარგში საფუძველს იძლევა შეიქმნას ვაგონების უფრო გაუმჯობესებული ელექტროსადგურები, რომლებიც იძლევა ცვლად დენს. ასეთ შემთხვევაში გენერატორი უფრო მსუბუქია, მისი ზომა და თვითღირებულება ძვირია, ხოლო სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტი დიდია.

ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკის ინსტიტუტის მიერ რიგის ელექტრომანქანების ქარხანასთან ერთად ქარხანასთან და ლატვიის რკინიგზელებთან, თანამეგობრობით კონსტრუირებულ იქნა ახალი ელექტროსადგური, რომელიც ვაგონქვეშ ეწყობა.

საცდელმა ვაგონმა, რომლის ქვეშ მოწყობილი იყო ახალი ელექტროსადგური, წარმატებით გაიარა გამოცდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ელექტროსადგურის სიმძლავრე 2,5-ჯერ უფრო დიდია წინანდელთან შედარებით, მისი ღირებულება იგივე იქნება.

მეგობრული სტრიქონები

ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხთა სკოლების მოსწავლეებთან მიწერ-მოწერა რუსთავის მე-2 საშუალო სკოლაში ჯარგა ხანია ტრადიციად იქცა. ასეთი მიწერ-მოწერა პირველად უკრაინის სკოლებთან დაიწყო. ქართველი და უკრაინელი მოსწავლეები 5 წელზე მეტია ერთმანეთს სისტემატურად აცნობენ თავიანთი სასკოლო ცხოვრების, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას.

ამას წინათ ჩვენი სკოლის პედაგოგი თ. ვაშაძე რესპუბლიკის განათლების მუშაკთა ჯგუფთან ერთად პოლიტექნიკური სწავლების დარგში მუშაობის ურთიერთგაზიარების მიზნით მოძმე უკრაინის სკოლებს ესტუმრა. მირგოროდის გურამიშვილის სახელობის შვიდწლიან სკოლას მან საჩუქრად გადასცა რუსთავის ინდუსტრიული ცხოვრების ამსახველი ფოტოალბომი. მირგოროდელმა მოსწავლეებმა კი თავიანთ ქართველ მეგობრებს გამოუგზავნეს ხის მხატვრული ნაკეთობანი და ჰერბარიუმი ბუნებისმეტყველების კაბინეტისათვის.

მოსწავლეთა შორის გულწრფელი, მეგობრული მიწერ-მოწერა სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბს იღებს. ცოტა ხნის წინათ ჩვენმა სკოლამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მიიღო პაკეტი, რომელზეც გერმანულ ენაზე ეწერა: „ბერლინის ოლქი, ცოზენის სკოლის მოსწავლეებისაგან“. ბარათი ასე იწყებოდა: „ძვირფასო მეგობრებო! დიდი სიხარულით გავიგეთ თქვენი მისამართი ჩვენი რუსული ენის მასწავლებლისაგან, რომელმაც თავისი შვებულება თქვენთან გაატარა. დიდი სურვილი გვაქვს მიწერ-მოწერა ვიქონიოთ თქვენთან, რათა გაგაცნოთ ჩვენი მუშაობა და თქვენი გამოცდილებაც გავიზიაროთ“.

ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა თავიანთ გერმანელ მეგობრებს მაშინვე მისწერეს საპასუხო ბარათი, სადაც ნათქვამია: „უზომოდ გაგვახარა თქვენმა ბარათმა... დარწმუნებული იყავით, რომ მზიური საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა ქალაქ რუსთავში ჩვენი სახით გყავთ ერთგული და მოსიყვარულე მეგობრები. მოუთმენლად ველით თქვენგან მორიგ ბარათს, ჩვენო შორეულო ძვირფასო მეგობრებო!“

Ა. ᲗᲐᲕᲐᲫᲔ,

რუსთავის მე-2 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

საშუალო სკოლიდან — კოლმეურნეობაში

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). სოფელ ბეკმის კოლმეურნეობაში შარშანდელთან შედარებით გაიზარდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა, გადიდდა პირუტყვის პროდუქტიულობა და ფულადი შემოსავალი. ამ საქმეში საპატიო წვლილი შეაქვთ სოფლის ახალგაზრდებს.

თენგიზ ღამბაშიძემ 1956 წელს დაამთავრა სურამის მე-2 საშუალო სკოლა და კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. უკვე გამომუშავებული აქვს 200 შრომადღე. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში სამუშაოდ წავიდა ალრეთვე ეუფუნა ყურდაძე, რომელმაც თავისი მუყაითი შრომით მალე გაიმტკიცა სახელი. წელს მან ჰექტარზე 300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 198 ცენტნერისა.

ნიკოლოზ ოსტროვსკი

გარდაცვალების 20 წლისთავის გამო

„როცა ფეფა-ქუხილი დაიგრიალებს და სისხლისმღვრელი ომი დადგება, მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ მშობლიური ქვეყნის დასაცავად აღდგება უამრავი ისეთი მებრძოლი, როგორიც იყო პავკა კორჩაგინი. მაგრამ მე არ ვიქნები თქვენ შორის მაშინ და გთხოვთ — ჩეხეთ ჩემს მაგივრად, ჩეხეთ პავკა კორჩაგინის მაგივრად“, — ამბობდა მწერალი ნიკოლოზ ოსტროვსკი ლენინის ორდენით მისი დაჯილდოების აღსანიშნავად გამართულ მიტინგზე.

სულ რაღაც სამ ათეულზე ცოტა მეტი ხანი იცხოვრა უნიჭიერესმა საბჭოთა მწერალმა, კომუნისტური პარტიის ერთგულმა შვილმა ნიკოლოზ ოსტროვსკიმ. მაგრამ სიცოცხლის მოკლე დროში მან გვიჩვენა შრომის, ბრძოლის, ხალხის სამსახურის უბადლო მაგალითი. ღარიბი მუშის შვილმა და თავადაც მუშურ გარემოცვაში აღზრდილმა ბავშვობაშივე იწვნია რევოლუციამდელი უბრალო ადამიანის ჯოჯოხეთური ხვედრი. ნიკოლოზ ოსტროვსკი, როგორც ათასობით მისი ტოლი ახალგაზრდა, ცხოვრებამ აიძულა თორმეტი წლის ასაკში დაენებებინა თავი სწავლისათვის და დაქირავებული შრომით ეშოვნა ლუკმაპური.

სამოქალაქო ომის გმირმა მონაწილემ ნ. ოსტროვსკიმ, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში დაკარგა ჯანმრთელობა და თვალის სინათლე, სიცოცხლის უკანასკნელი ექვსი წელი მხატვრული სიტყვით ხალხის სამსახურს მოახმარა და აქაც ლიტერატურის ისტორიისადვის უჩვეულო გმირობა გამოიჩინა. „მე შემიბოჭა მძიმე ავადმყოფობამ, — წერდა იგი, — მაგრამ მით უფრო აღზნებით ჩავცემ მტერს ლახვარს სხვა იარაღით, რითაც შემაიარაღა კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც წერა-კითხვის მცირემცოდნე მუშიდან საბჭოთა მწერალი აღზარდა“.

მართლაც, მწერლის ხანმოკლე, მაგრამ მრავალფეროვანი და შინაარსიანი ცხოვრება, მისი საქვეყნოდ განთქმული რომანების გმირები გახდნენ შთამაგონებელი მაგალითები მთელი საბჭოთა ახალგაზრდობისათვის, საბჭოთა ადამიანებისათვის. ნიკოლოზ ოსტროვსკის რომანში „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ ჩვენმა ხალხმა დაინახა მხატვრული სიმართლის ძალა, სამოქალაქო ომის ისტორიის გმირული მატიანე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ჩვენი ხალხის მიერ წარმოებული ბრძოლების ეპოპეა.

„როგორ იწრთობოდა ფოლადის“ მთავარი გმირის პავკა კორჩაგინის სახით მწერალმა დახატა მუშათა კლასის უანგაროდ ერთგული, ბრძოლაში უშიშარი, ბრძენი, ბრძოლაში მამაცი, ტიტანური ენერგიის მატარებელი ადამიანი. ეს ადამიანი ბოლშევიკი ახალგაზრდა. რომანში ამავე თვისებებით არიან წარმოდგენილნი და ცოცხალი ადამიანური შტრიხებით ხორცშესხმულნი უფროსი თაობის მუშა-რევოლუციონერები კომუნისტი დოლინნიკი, ჟუხრაი, ტოკარევა, კომკავშირელები სერიოჟა და ვალია ბრუზჟაკები, რიტა უსტინოვიჩი, ოკუნევი და სხვ. ამ თვისებების გამო საბჭოთა მკითხველმა უსაზღვროდ შეიყვარა ბოლშევიკი მწერლის ამაღელვებელი რომანების „როგორ იწრთობოდა ფოლადისა“ და „ქარიშხლით შობილნი“-ს გმირები.

მშვიდობიანობის პერიოდში პავლე კორჩაგინი ეხმარებოდა მუშებსა და კოლმეურნეებს სწრაფად ეშენებინათ ქარხნები, მოეყვანათ უხვი მოსავალი, უკეთ ემუშავათ, ხოლო დიდი სამამულო ომის წლებში იგი იყო საბჭოთა ჯარისკაცებთან საბრძოლო მწყობრში და მათთან ერთად უშიშრად იცავდა გერმანელი ფაშისტებისაგან ჩვენს სოფლებსა და ქალაქებს, თავდადებულად იბრძოდა სამამულო ომის ყველა ფრონტზე. სამამულო ომის ერთ-ერთი ფრონტიდან ორმოცი ახალგაზრდა მებრძოლი კომკავშირელი ოსტროვსკის დედას ოლგა ოსიპის ასულს წერდა:

„როცა ჩვენ იერიშზე გადავდივართ, გვგონია, თითქოს ჩვენი სამხედრო მწყობრის მარჯვენა მხარეზე, ხელში მომარჯვებული თოფით, მიდის პავკა კორჩაგინი და ურტყამს საზიზღარ ფაშისტებს ისე, როგორც სამოქალაქო ომის დროს“. პავკა კორჩაგინი მტრის სიძულვილს და სამშობლოს სიყვარულს ასწავლიდა კომკავშირის უფროს თაობასა და თავის ყველაზე ნორჩ მკითხველებს. ზოია კოსმოდემიანსკაია და ოლეგ კოშევოი, ლიზა ჩაიკინა და შურა ჩეკალინი — ყველა ესენი თავიანთ დღიურებში, როგორც ფიცს, ისე წერდნენ დასჯილი ვალიას საფლავთან კორჩაგინის ნაბაზრევს.

ასეთი მაღალმხატვრული, ღრმა იდეური შინაარსის შემცველი ნაწარმოების შექმნა შეუძლია ისეთ მწერალს, რომელიც ღრმად არის დაკავშირებული ხალხთან, ცხოვრობს მისი ინტერესებით და აქვს შრომისა და ბრძოლის დიდი გამოცდილება. სწორედ ასეთი მწერალი იყო ნიკოლოზ ოსტროვსკი.

დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს ნ. ოსტროვსკი ქართველ მკითხველებში. მისი ორივე ნაწარმოები თარგმნილია ქართულ ენაზე.

ნიკოლოზ ოსტროვსკის, როგორც დიდი მწერლისა და მოქალაქის, სახელი მუდამ იცოცხლებს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის გულში.

Ე. ᲣᲑᲘᲚᲐᲕᲐ.

მოდის გიჰვინთური პროდუქტები

ბიჰვინთის მეფრინველეობის ფაბრიკა. ქათმების კვების მომენტი.

* * *

ბიჰვინთას ახლა კვების პროდუქტების უზრეტ ბედელს უწოდებენ. მის ტერიტორიაზე გაშენებულია მეციტრუსეობის, მერძევეობის, მებოსტნეობის მძლავრი საბჭოთა მეურნეობები და მეფრინველეობის ფაბრიკა, რომლებიც უხვად აწვდიან აფხაზეთის კურორტებსა და მოსახლეობას სხვადასხვა ძვირფას პროდუქტებს.

კვიპაროსებით შემოზღუდულ ლამაზ ხეივანს ბიჰვინთის მეფრინველეობის ფაბრიკისკენ მივყავართ. ჩვენს წინ იშლება წარმტაცი სანახაობა. მავთულის ბადეებით შემოკავებული თვალუწვდენი მინდვრები გადათოვლილია ფრინველით. საითკენაც გაიხედავ, აქ ყველგან ფრინველია.

მეფრინველეობის „ქალაქის“ უფროსი ზოოტექნიკოსი ახალგაზრდა სპეციალისტი ციალა ოსელიანი დაწვრილებით გვაცნობს ფაბრიკის ამოცანას, მის უახლოეს პერსპექტივებს:

მეფრინველეობის „ქალაქს“ 175 ჰექტარი ფართობი უჭირავს. მისი მიზანია უზრუნველყოს მშრომელთა მოთხოვნილება კვერცხით, ფრინველის ხორცით, ჯიშიანი მოზარდეულით. ფაბრიკის კოლექტივი წარმატებით ართმევს თავს ამ საპატიო ამოცანას.

1955-1956 სამეურნეო წელს გეგმით გათვალისწინებული 32 ათასი ფრთის ნაცვლად გაზარდეს 35 ათასი ფრთა ფრინველი. ყოველ კვერცხმდებელ ქათამზე გეგმით გათვალისწინებული 165 კვერცხის ნაცვლად მიიღეს 169 კვერცხი. ფაბრიკამ წელს სახელმწიფოს ჩაბარა 200 ათას კილოგრამზე მეტი ქათმის ხორცი და სამმილიონნახევარზე მეტი კვერცხი. აქ ყოველდღიურად საშუალოდ 18 ათასზე მეტ კვერცხს იღებენ და აბარებენ სანატორიუმებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს.

გულმოდგინედ ვეცნობით ამ საინტერესო ფაბრიკის მრავალრიცხოვანი საამქროების მუშაობას.

— დავიწყოთ საინკუბატორო საამქროდან, — გვეუბნება ამბ. იოსელიანი და ლამაზად ნაშენი კორპუსისაკენ მიგვიძღვება. როცა შედიხართ ამ საამქროში, ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს სადღაც სამეცნიერო ლაბორატორიაში მოხვდით. გაკრიალებულ კორპუსებში უხმოდ დაფუსფუსებენ თეთრხალათიანი ქალები, კორპუსის შუა ადგილას დგას ინკუბატორი „რეკორდი-39“. ამ უცნაურ „კრუხს“ ერთსა და იმავე დროს შეუძლია გამოიყვანოს ოცდაცხრამეტი ათასი წიწილა.

ავტომატურ სამართავთან გავეცანით საამქროს ოპერატორს ახალგაზრდა გოგონას ლიდა კოტლიარს. იგი ღილებზე თითს დაჭერით არეგულირებს ინკუბატორში საჭირო ტემპერატურას, ჰაერის მოძრაობას, კვერცხების გადაბრუნ-გადმობრუნებისა და სხვა ოპერაციებს, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ინკუბატორში მოთავსებულ 39 ათას კვერცხში შეუფერხებლივ განვითარდეს ჩანასახი.

— როცა კრუხი კვერცხზე ზის, იგი დროდადრო აბრუნებს კვერცხებს, რომ ჩანასახი ნაჭუჭს არ მიეწებოს და არ მიახმეს, აქაც ასეა, — და ოპერატორი გოგონა გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება ინკუბატორში კვერცხების ავტომატურად გადაბრუნ-გადმობრუნება.

იგი ერობაშად აჭერს თითს რამდენიმე ღილს, და ინკუბატორის ოდნავ გამოღებულ რკინის კარებში ვხედავთ, როგორ დაიწყო ბრუნვა ინკუბატორში განლაგებულმა 240 ლითონის ყუთმა, რომლებშიც მჭიდროდ ჩალაგებულია კვერცხი.

— მთელი ეს 39 ათასი კვერცხი, — გვეუბნება ლიდა კოტლიარი, — 21 დღის განმავლობაში ყოველ ორ საათში ავტომატურად გადაბრუნდება 45 გრადუსზე, რომ ჩანასახი ნორმალურად განვითარდეს.

ჩვენ აქ იმ დროს მოვხვდით, როცა მეორეწიწილების საბოლოოდ გამომყვანი — ინკუბატორიდან გამოყავდათ ახლად გამოჩეკილი ქარვისფერი წიწილები, რომლებსაც სათუთად ათავსებდნენ თხელი ფიცრისაგან გაკეთებულ თვალჩაფენილ სპეციალურ ყუთებში. სწორედ ამ ყუთებით იწყებენ ისინი პირველ „მოგზაურობას“ საწიწილე საამქროში.

— აი მოვიდა ახალი შვილება, — ხუმრობით ამბობს საწიწილე საამქროს უფროსი ანა ზელენსკაია და ხალისით იღებს ყუთებს ცოცხალი ტვირთით.

ასე იმადება ამ ფაბრიკის პირველი პროდუქცია. ინკუბატორიდან წიწილები კონვეიერულად, უწყვეტ ნაკადად მოედინება. ინკუბატორის სექციებში კვერცხის ჩაწყობა ისე ხდება, რომ გამოჩეკილი წიწილების ერთ პარტიას მეორე მოსდევს და ასე დაუსრულებლივ იღებენ ფრინველები ახალ შვილებას.

საწიწილე საამქროს კოლექტივი ორი წელია ფლობს ფაბრიკის გარდამავალ წითელ დროშას. მოზარდეულის უკლებლივ შენარჩუნებისა და მეფრინველეობის მაღალი პროდუქტიულობის უზრუნველყოფისათვის ბიჰვინთის მეფრინველეობის ფაბრიკა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის უცვლელი მონაწილეა. აქ საუკეთესოდ იყენებენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მეფრინველეთა მოწინავე გამოცდილებას.

ციალა იოსელიანი გვაცნობს საინკუბატორო საამქროდან დაწყებული ვიდრე სასაკლაომდე ფრინველის მოძრაობას. მან ზედმიწევნით იცის მეფრინველეობის საქმე, ფაბრიკის ყველა დეტალი, ყოველი წვრილმანი.

ფაბრიკაში ყველა შრომატევადი სამუშაო — საკვების დამზადება და შემოზიდვა, ქათმების კვება, რწყულება, ნაკელის გატანა, ფრინველის დაკვლა, შეფუთვა და სხვა — მთლიანად მექანიზებულია.

აქ ბევრი ნოვატორი მეფრინველეა. ისინი აღტაცებით გვიამბობენ თავიანთი მუშაობის შესახებ.

— წარმატების მთავარი პირობა სწორი კვება და მოვლა-პატრონობაა, — გვითხრა მოწინავე მეფრინველემ ანა ვორობიოვამ.

იგი ფაბრიკაში 1.755 ქათამს უვლის. გასულ სამეურნეო წელს თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე 165-ის ნაცვლად 188 კვერცხი მიიღო. არც ერთი ქათამი არ მოკვდომია. უკეთესი მაჩვენებლები აქვს ვერა ხრომოვას, რომელმაც მისთვის მოსავლელად მიჩენილი 1.151 ქათმიდან თვითეულზე უზრუნველყო 215 კვერცხის მიღება. ასეთსავე საამაყო მაჩვენებლებს აღწევენ ნოვატორი მეფრინველეები ევდოკია კოვალიოვა, ნინო ზაიცევა და სხვები.

ბიჰვინთელი მეფრინველეები არ კმაყოფილდებიან მიღწეულით. ფაბრიკის კოლექტივმა, რომელმაც დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის შეასრულა ხორცის ჩაბარების წლიური გეგმა, ერთსულოვნად გადაწყვიტა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ჩააბაროს სახელმწიფოს 50.000 კილოგრამი ფრინველის ხორცი, ნახევარი მილიონი კვერცხი, ყოველი ასი კვერცხიდან მიიღოს 90 წიწილა.

მეფრინველეობის ფაბრიკიდან ორ-ორი, სამსამი კილომეტრის დაშორებით მდებარეობენ

ბიჰვინთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის დამხმარე ფერმა. სურათზე: ღორების კვება ავტოსაკვებურში.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

მეციტრუსეობის, მერძევეობისა და მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც წლის ყველა დროს შეუფერხებლივ აწვდიან აფხაზეთის მშრომელებს თავიანთ ძვირფას პროდუქტებს.

შორიდან მოჩანს ბიჰვინთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მაღალი სასილოსე კოშკები, საკვებდასამზადებელი სამზარეულოს შენობა და საბაგირო გზები. ამ მეურნეობამ, რომელიც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის უცვლელი მონაწილეა, მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრა სამეურნეო წელი მეცხოველეობაში.

თვალს ახარებს ბაგურ კვებაზე გადაყვანილი სანიმუშოდ მოვლილი ძროხები. მეცხოველეობის ფერმაში ყველა შრომატევადი სამუშაო მექანიზებულია. განუხრელად იზრდება პროდუქტიულობა. 1953 წელთან შედარებით 1956 წელს თვითეული ძროხის წველადობა 400 ლიტრით გადიდდა. გასულ სამეურნეო წელს ყოველ საფურაუე ძროხაზე მიღებულია 5.621 ლიტრი რძე. გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარდა 30 ტონა რძე. წელს კილოგრამი რძის თვითღირებულება 50 კაპიკით შემცირდა.

ფერმის მოწინავე მწველავებმა ანა ტერემიაზოვამ, ეკატერინე ლეშოვამ და ვარვარა ფირუფვამ მოსავლელად მიჩენილ ყოველ საფურაუე ძროხაზე მიიღეს 6.000-6.500 ლიტრი რძე. პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებლისათვის ფერმას მიღებული აქვს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მეორე ხარისხის დიპლომი.

ასეთივე საამაყო მაჩვენებლები აქვს მეურნეობას მებოსტნეობაში. აქ 39 ჰექტარზე დათესილი აქვთ ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურები. მათ შორის 13 ათას კვადრატულ მეტრზე მოწყობილია დახურული სათბურები. გეგმით გათვალისწინებული 5 ათასი მანეთის ნაცვლად წელს ათ თვეში მებოსტნეობიდან მიღებულია 102 ათასი მანეთი მოგება. მეურნეობა მთელი წლის განმავლობაში ამარაგებს აფხაზეთის კურორტებს ბაღჩეულ-ბოსტნეულით. ამჟამად მეურნეობის სათბურებში ყოველდღიურად კრეფენ 500-600 კილოგრამ ქორფა კიტრს და პამიდორს. მოწინავე მესათბურეები კლავა კრივოხიჟინა და სერაფიმა მეზინცევა ყოველ კვადრატულ მეტრზე გეგმით გათვალისწინებული 6 კილოგრამის ნაცვლად 10-11 კილოგრამ კიტრს კრეფენ.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეაქვს აგრეთვე ბიჰვინთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობას, რომელსაც მეცხოველეობის კარგი სპეციალისტი ვასილ ძნელაძე ხელმძღვანელობს.

აქ ბევრი რამ არის ახალი და საყურადღებო. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მეურნეობასთან არსებული მეღორეობის დამხმარე ფერმის მიღწევები.

ეს ფერმა აქ მხოლოდ გასულ წელს მოაწყეს. ჩერნიგოვის ოლქიდან ჩამოიყვანეს ათი სული ჯიშიანი დედაღორი. მათი ნამატი დღეისათვის 800 სულს აღემატება.

მეურნეობის მეღორეობის ფერმა სანიმუშოდ არის მოწყობილი. მექანიზებულია ღორის კვება, რწყულება, საკვების დამზადება და სხვ. კრასნოდარელ მეღორეთა გამოცდილების საფუძველზე წელს აქ მთელ აფხაზეთში პირველად მოაწყეს ავტოსაკვებურები.

მეღორეობის ფერმამ პირველ წელს მეურნეობას 60 ათასი მანეთი მოგება მისცა. წელს ეს თანხა სამჯერ და მეტად გადიდდა. ყოველ დედა-ღორზე გეგმით გათვალისწინებული 16-ის ნაცვლად მიღებულია 20 გოჭი. ამჟამად გასასუქებლად დაყენებული ყავთ 120 სული ერთჯერადი დედა-ღორი და მოზარდეული, სახელმწიფოსათვის ღორის ხორცის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 150 პროცენტით. ფერმის მუშაკებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

ბიჰვინთის (გაგრის რაიონი) მეფრინველეობის ფაბრიკა და საბჭოთა მეურნეობები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენენ.

Ა. ᲜᲘᲜᲣᲐ,
Ი. ᲒᲝᲒᲔᲩᲘᲐ,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

ნიუ-იორკი, 20 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ დღისით ერთსა და იმავე დროს გრძელდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს სხდომები, რომლებზეც განიხილავდნენ საერთაშორისო სასამართლოს წევრის არჩევის საკითხს. უშიშროების საბჭომ ხმის უმრავლესობით აირჩია ჩანკაიშელი, მაშინ როცა გენერალურ ასამბლეაში საჭირო უმრავლესობა მიიღო იაპონიის წარმომადგენელმა. რამდენადაც არც ერთ კანდიდატს არ მიუღია ერთსა და იმავე დროს უმრავლესობა ორივე ორგანოში, გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის წინადადებით კენჭისყრა ამ საკითხზე გადაიდო.

ამის შემდეგ გენერალური ასამბლეა შეუდგა უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა არჩევას იმ ადგილებზე, რომლებსაც ათავისუფლებენ ბელგია, ირანი და პერუ. კენჭისყრის პირველი ტურის შედეგად არჩეულ იქნენ კოლუმბია და ერაყი. შემდგომ ტურებში ხმები გაიყო შვეიცარია და ესპანეთს შორის. მას შემდეგ, რაც ესპანეთის წარმომადგენელმა მოხსნა თავისი ქვეყნის კანდიდატურა, ხმის დიდი უმრავლესობით არჩეულ იქნა შვეიცარია.

შემდეგ გენერალური ასამბლეა შეუდგა ეკონომიური და სოციალური საბჭოს წევრების არჩევას. ეს საბჭო შედგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 18 წევრისაგან, რომლებსაც ასამბლეა ირჩევს. ყოველწლიურად ამ საბჭოში სამი წლის ვადით ირჩევენ 6 წევრს გამოკლებულთა ნაცვლად. წესდების თანახმად, საბჭოს გამოკლებული წევრი შეიძლება კვლავ იქნეს არჩეული. გუშინდელ არჩევნებში ირჩევდნენ წევრებს იმ ადგილებზე, რომლებსაც ათავისუფლებენ საბჭოთა კავშირი, ინგლისი, ჩეხოსლოვაკია, ეკვადორი, ნორვეგია და პაკისტანი. კენჭისყრის პირველ ტურში გავიდნენ საბჭოთა კავშირის, მექსიკის, პოლონეთის, ფინეთისა და ინგლისის კანდიდატურები.

შემდგომ ტურებში ხმები გაიყო ცეილონისა და პაკისტანის კანდიდატურებს შორის. ხუთი დამატებითი ტურის შედეგად არჩეულ იქნა პაკისტანი.

სხდომის დასასრულს გენერალურმა ასამბლეამ მეურვეობის საბჭოში აირჩია ორი წევრი — ინდოეთი და ჰაიტი.

ნიუ-იორკი, 20 დეკემბერი. (საკდესი). გენერალურმა ასამბლეამ, განიხილა რა თავისი ორი კომიტეტის — მე-6 (იურიდიული საკითხთა) და მე-5 (ადმინისტრაციულ და ბიუჯეტის საკითხთა) კომიტეტების მოხსენებანი, მიიღო რეკომენდაციები — გაფართოვდეს საერთაშორისო სამართლის კომისიის შემადგენლობა 15-დან 21 წევრამდე. კომისიის შემადგენლობაში არჩეული არიან სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ინდოეთის, სირიის, ეგვიპტის, სამხრეთ-ინდოეთის, იაპონიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა აგრეთვე რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტს მიეცეს მუდმივი ხასიათი.

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 20 დეკემბრის დილის პლენარულ სხდომაზე კვლავ განიხილავდნენ წინადადებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შეცვლის შესახებ, რათა გაფართოვდეს უშიშროების საბჭო და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოები.

ამ საკითხზე გამოვიდა ბელორუსიის სსრ წარმომადგენელი კ. ვ. კისელიოვი. მან გააკრიტიკა „მოსაზრებანი“ ლათინური ამერიკის ქვეყნების ის წარმომადგენლებისა, რომლებიც მოითხოვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვას და მისი ორგანოების გაფართოებას. კ. ვ. კისელიოვმა გაიხსენა, რომ უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა ადგილების სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპი, რაც გათვალისწინებულია წესდებით, სისტემატურად ირღვევა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სრულიად შეუწყნარებელი დარღვევა ის არის, რომ დღემდე აღდგენილი არ არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

დასასრულ ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, თუ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ნამდვილი მისწრაფება განამტკიცონ საერთაშორისო თანამშრომლობა და უზრუნველყონ ხალხთა უშიშროება, წესდება მისი ახლანდელი სახით საკმაოდ აკმაყოფილებს მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. კ. ვ. კისელიოვმა გაიღაშქრა ლათინური ამერიკის ქვეყნების რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს წესდების შეცვლას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოების შემადგენლობის გაფართოებას.

ლათინური ამერიკის ქვეყნების პროექტის დასაცავად გამოვიდნენ სალვადორისა და ეკვადორის დელეგატები.

საფრანგეთის დელეგატმა დე გერენგომაც დაუჭირა მხარი რეზოლუციის ამ პროექტს და დუმილით უარა გვერდი იმ საკითხს, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების დაცვა, და, კერძოდ, ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენა.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ულრიხმა აღნიშნა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი რეალისტური არ არის, რამდენადაც ცვლილებანი წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ მოიწონებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა ორი მესამედი, უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრის ჩათვლით, ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ ამ მუდმივ წევრებს შორის იყოს თანხმობა. როგორ შეიძლება ასეთი თანხმობის მიღწევა, თქვა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა, როდესაც უშიშროების საბჭოს ერთ-ერთ მუდმივ წევრს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას — უსპობენ მის კანონიერ წარმომადგენლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში? ულრიხმა აღნიშნა, რომ მისი დელეგაციისათვის სავსებით გასაგებია მოთხოვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგიერთი ორგანოს შემადგენლობის გადიდების შესახებ. ჩვენ აგრეთვე ვეთანხმებით იმას, თქვა მან, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ახლანდელ მდგომარეობას, როცა მსოფლიოს ზოგიერთი რაიონი სრულებით არ არის წარმოდგენილი ან სუსტად არის წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ეს განსაკუთრებით ეხება აზიასა და აფრიკას, სადაც მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად სულ უფრო მეტი ქვეყანა თავისუფლდება კოლონიური ბატონობისაგან. აზიის ქვეყნების სუსტი წარმომადგენლობა უშიშროების საბჭოში მით უფრო გეცემა თვალში, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა ცნობაზე უარის თქმის შედეგად ამ ორგანოში არ არის წარმოდგენილი ჩინეთი.

სუდანისა და თურქეთის დელეგატებმა მხარი დაუჭირეს აზიის ქვეყნებისა და არაბთა სახელმწიფოების დელეგაციების ჯგუფის მიერ წარდგენილ რეზოლუციის პროექტს, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური კომიტეტის არჩევას, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი უშიშროების საბჭოს შემადგენლობის გაფართოებისა და ამასთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შეცვლის შესახებ.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ვ. ვ. კუზნეცოვი. გენერალურ ასამბლეაში გამართული დისკუსიიდან, თქვა მან, ჩანს, რომ ბევრ დელეგაციას კარგად ესმის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შეცვლის საკითხი არ შეიძლება გადაჭრას გენერალურმა ასამბლეამ, თუ ამაში მონაწილეობას არ მიიღებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოს — უშიშროების საბჭოს გაფართოების პრობლემისადმი ასეთი სამართლიანი და რეალური მიდგომა კვლავაც არ აძლევს ხელს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოს. ამერიკის დელეგაციამ მისთვის უკვე ჩვეული მოურიგებლობით უხეში გამოთქმებით განაცხადა, რომ არ ეთანხმება იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოების შემადგენლობის გაფართოების საკითხი დიუკავშირონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხს. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის ასეთი გამოსვლა მოულოდნელი როდია.

კუზნეცოვი შეეხო აგრეთვე ორჭოფულ პოზიციას, რომელიც ინგლისის დელეგაციამ დაიკავა ამ საკითხში.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რამდენადაც ლათინური ამერიკის ქვეყნების პროექტი არ ითვალისწინებს, რომ გამოსწორდეს სრულიად არანორმალური მდგომარეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, აგრეთვე გამოსწორდეს უსამართლობა აღმოსავლეთ ევროპის გეოგრაფიული რაიონის მიმართ, რომელსაც წარმოდგენილი აქვს წარმომადგენლობა უშიშროების საბჭოში, სსრ კავშირის დელეგაცია ხმას მისცემს ამ პროექტის წინააღმდეგ.

ვ. ვ. კუზნეცოვი შეეხო აგრეთვე რეზოლუციის პროექტს, რომელიც წარადგინა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ჯგუფმა. საბჭოთა კავშირის დელეგაცია, თქვა მან, არ არის იმის წინააღმდეგი, რომ გადიდდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოების შემადგენლობა, არ არის წინააღმდეგი, რომ განხილულ იქნას ეს საკითხი. საბჭოთა კავშირის დელეგაცია მხოლოდ ერთ რამეს ცდილობს, რომ ეს საკითხი ნამდვილად გადაიჭრას და ამასთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. რეზოლუციის ავტორებმა განმარტეს, რომ მათ მიერ გათვალისწინებულმა კომიტეტმა უნდა შეისწავლოს ამ სესიაზე შემოტანილი ყველა წინადადება. ამასთან განხილულ უნდა იქნას მთელი რიგი დელეგაციების წინადადებანი, რომლებიც ეხება იმას, რომ უშიშროების საბჭოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციების სხვა ორგანოების შემადგენლობის გაფართოების საკითხის გადაჭრამდე გადაიკრას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენის საკითხი. ეს უკვე წინგადადგმული ნაბიჯია საკითხის დადებითად გადასაჭრელად. ითვალისწინებს რა ამ გარემოებას, საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს ამ რეზოლუციის და ხმას მისცემს მას.

როცა აღდგენილ იქნება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებები, თქვა დასასრულ ვ. ვ. კუზნეცოვმა, შეიძლება გადაიჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოების წევრთა რიცხვის გადიდების საკითხიც. ამასთან, რა თქმა უნდა, უზრუნველყოფილ უნდა იქნას ევროპისა და აზიის შესაბამისი გეოგრაფიული რაიონების უფლებები და მათ შორის უზრუნველყოფილ უნდა იქნას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სამართლიანი წარმომადგენლობა უშიშროების საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებში.

ფინეთის პრემიერ-მინისტრის კ. ა. ფაგერჰოლმის მოსკოვში ჩამოსვლისათვის

საბჭოთა მთავრობამ მოიწვია ფინეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი კ. ა. ფაგერჰოლმი საბჭოთა კავშირში. პრემიერ-მინისტრმა კ. ა. ფაგერჰოლმმა მიიღო მოწვევა და ჩამოვა ვიზიტით მოსკოვში 1957 წლის 30 იანვარს.

მოლაპარაკება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციასა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას შორის

ვარშავა, 20 დეკემბერი. (საკდესი). ვარშავაში დაიწყო მოლაპარაკება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციასა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას შორის.

იზრდება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის რიგები

ბუდაპეშტი, 20 დეკემბერი. (საკდესი). უნგრეთის ყველა ოლქიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ იზრდება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის რიგები. მაგალითად, ბაჩ-კიშკუნის ოლქში ამჟამად მოქმედებს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის 235 პირველადი ორგანიზაცია, რომლებშიც არის ოთხი ათასზე მეტი წევრი. კომორომის ოლქში ახლად შეიქმნა 64 პარტიული ორგანიზაცია, აქედან 22 მეშახტეთა ქალაქ ტატაბანიაში. ქალაქ ზალაეგერსეგში ამ ბოლო დროს შეიქმნა 17 ორგანიზაცია. ზალის ოლქში ამჟამად მოქმედებს 93 პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

უნგრეთის ნოტა ნორვეგიისადმი

ოსლო, 20 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ გუშინ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებულმა ნორვეგიაში ჰაკლერმა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ნოტა, რომელიც შეიცავს თხოვნას ნორვეგიის მთავრობისადმი — ხელი შეუწყოს იმას, რომ უნგრეთში დაარსონ 12-17 წლის ასაკის 130 უნგრელი ბავშვი, რომლებიც წაიყვანეს უნგრელ ლტოლვილთა ავსტრიის ბანაკებიდან. უნგრეთის მთავრობა სთხოვს ნორვეგიის მთავრობას მისცეს შესაძლებლობა უნგრეთის წარმომადგენლებს დაუკავშირდნენ უნგრელ ბავშვებს, რათა უამბონ, თუ რა მდგომარეობაა ახლა მათ სამშობლოში.

ჯ. ნერუს პრეს-კონფერენცია ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 20 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ 19 დეკემბერს გამოვიდა კორესპონდენტების წინაშე პრესის ეროვნულ კლუბში და შეეხო მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებს.

კითხვაზე, ხომ არ ჩამოუტანია მას რაიმე პირადი წერილი ჯოუ ენ-ლაისაგან, ნერუმ უპასუხა, რომ არა აქვს ასეთი წერილი, მაგრამ რომ მან ეიზენჰაუერთან განიხილა პრობლემები, რომლებიც ჩინეთს ეხება. ნერუმ ჯოუ ენ-ლაი მოიხსენია როგორც შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც მშვენივრად ესმის ჩინეთის წინაშე არსებული პრობლემები. ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არის მხოლოდ ერთი ჩინეთი, და დასძინა, არა მგონია, რომ შეიძლება ეგრეთწოდებული „ორი ჩინეთი“ არსებობდეს.

პასუხად თხოვნისა — გამოეთქვა თავისი აზრი განიარაღების პრობლემის შესახებ, ნერუმ აღნიშნა, რომ განიარაღება მას ესმის როგორც შეიარაღების, ადამიანთა კონტინგენტების ნამდვილი შემცირება და თანამედროვე სახეობათა იარაღის შეზღუდვა. მან აგრეთვე დასძინა, რომ ყველა ამ ღონისძიებას საფუძვლად უნდა ედოს რაიმე შეთანხმება იმის უზრუნველყოფის მეთოდების შესახებ, რომ არც ერთმა მხარემ არ დაარღვიოს შეთანხმება.

შემდეგ ნერუმ განაცხადა, ჩემი აზრით, შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის პოზიციები ამ პრობლემის მიმართ ერთმანეთს უახლოვდებაო.

კომენტარი გაუკეთა რა შუა აღმოსავლეთში მოწესრიგების შესაძლებლობას, ნერუმ აღნიშნა, რომ აგრესიამ ეგვიპტის წინააღმდეგ წინანდელზე კიდევ უფრო გააძნელა ასეთი მოწესრიგება. ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ, მისი აზრით, სუეცის პრობლემის ყოველგვარი მოწესრიგება უნდა მოხდეს არაბეს ეგვიპტის სუვერენიტეტის აღიარების გზით.

დამთავრდა ჯ. ნერუს ვიზიტი ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 20 დეკემბერი. (საკდესი). ვაშინგტონში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუს ვიზიტის დამთავრების გამო აქ გამოქვეყნდა მოკლე კომუნიკე, რომელიც შედგენილია ზოგადი გამოთქმებით და არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ პოლიტიკურ დეკლარაციას.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის გაიმართა „პირადი შეხვედრები“, რომლებიც მიმდინარეობდა „არაოფიციალურ ვითარებაში“. ამ შეხვედრების დროს წარმოედა „ყოველმხრივი და გულახდილი საუბრები იმ პრობლემათა ფართო წრეზე, რომლებიც წარმოადგენენ ინტერესს ორივე მხარისათვის“. კომუნიკეში აღნიშნულია ორივე მხარეს შორის „თანხმობის ფართო სფერის“ არსებობა და გამოთქმულია რწმენა, რომ გამართულ საუბრებში მიღწეული ურთიერთგაგება „გაადვილებს მუდმივ ღონისძიებებს, რასაც ინდოეთი და შეერთებული შტატები იღებენ ქვეყნებს შორის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების შესაბამისად“.

პრემიერ-მინისტრი ნერუ დღეს ნიუ-იორკში ჩავიდა.

გადაღება ხაგოიამას კაბინეტზე

პეკინი, 20 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ტოკიოს რადიო იუწყება, დღეს გამოაცხადეს, რომ ხატოიამას კაბინეტი გადადგა. გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ მიღებულ იქნა მთავრობის რიგგარეშე სხდომაზე.

დღესვე მოიწვიეს პარლამენტის სესია, რომელმაც უნდა დანიშნოს მთავრობის ახალი მეთაური.

ჯანძან ისიბასი—იაპონიის ახალი პრემიერ-მინისტრი

პეკინი, 20 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ტოკიოს რადიო იუწყება, დღეს იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის სხდომაზე განიხილეს გადამდგარი იტირო ხატოიამას ნაცვლად იაპონიის ახალი პრემიერ-მინისტრის არჩევის საკითხი. პრემიერ-მინისტრის პოსტზე დასახელებული იყო ორი კანდიდატი: იაპონიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისაგან ტანძან ისიბასი და სოციალისტური პარტიისაგან—მოსაბეური სუეკეი. კენჭისყრის შედეგად პრემიერ-მინისტრად არჩეულ იქნა ისიბასი, რომელმაც მიიღო 291 ხმა. იაპონიის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ მიიღო 150 ხმა.

ახალი პრემიერ-მინისტრი იაპონიის მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეა. 1954 წლიდან ხატოიამას კაბინეტში მას ეკავა საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის პოსტი.

ფართოვდება სავაჭრო ქსელი



ფოთი. (საკ. კორ.). **ყოველდღიურად იზრდება შავი ზღვისპირა ქალაქ ფოთის სავაჭრო ქსელი. უკანასკნელ ხანებში ფოთვაჭრობის, სამხედრო ვაჭრობის განყოფილებისა და საგარეუბნო რაიკოოპერატივის ქსელს შეემატა ათობით ობიექტი.**

მარტო ფოთვაჭრობის ხაზით გაიხსნა მუშათა ორი სასადილო, ნავსადგურის ტერიტორიაზე — ხორცისა და ხილ-ბოსტნეულის მაღაზია, ნავსადგურის მეორე საწარმოო რაიონში — სასურსათო საქონლისა და ხილ-ბოსტნეულის მაღაზია, საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე — ხილისა და ბოსტნეულის სარეალიზაციო პავილიონი. ქალაქის ცენტრში მოეწყო უგამყიდველო მაღაზია, მამაკაცისა და ქალის ტანსაცმლის სამკერვალო ატელიე, ლიმონათის წარმოება. საფუძვლიანი რეკონსტრუქცია-გაფართოების შემდეგ ამ დღეებში მწყობრში ჩადგა ავეჯის ცენტრალური მაღაზია და რესტორანი „კოლხიდა“.

სამხედრო ვაჭრობის ფოთის განყოფილებამ ლენინის ქუჩაზე გახსნა სამრეწველო საქონლის მაღაზია, ხოლო ნავსადგურში — სასადილო.

სურათებზე: ზემოთ — რესტორან „კოლხიდის“ დარბაზი რეკონსტრუქციის შემდეგ; ქვემოთ — ქალაქის ცენტრში — ჭუთაისისა და რუსთაველის ქუჩის კუთხეში ახლახან გახსნილი ფოთვაჭრობის სასურსათო პროდუქტების უგამყიდველო მაღაზია.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.

საახალწლოდ მოსკოვის მშრომელებისათვის

ჩვენი რესპუბლიკიდან საახალწლოდ დიდძალი სასურსათო პროდუქტები და ხილი გაიგზავნა მოსკოვში.

დეკემბრის შუა რიცხვებიდან მაღაზია „საქართველოს“ მისამართით „საქკონსერვტრესტმა“ გაგზავნა 24 ტონა მანდარინი, ხოლო ბორის მშრომელებმა — 15 ტონა ვაშლი. მაღაზიის გაეგზავნა აგრეთვე ნახევარი ტონა სულგუნი, 6 ტონა თხილი, დიდძალი ლიმონი, ჯონჯოლი, რომი და ლიქიორი, ღვინის ძმარი, 1.200 კილოგრამი შაქარყინული, საქართველოს მინერალური წყლები „ბორჯომი“, „ზვარე“, „სკური“ და სხვ.

მაღაზია „საქართველო“ საახალწლოდ ქართულ ღვინოებს — „წინანდალს“, „ტვინს“, „ქინძმარაულს“, „ხვანჭკარას“, „გურჯაანს“, „საფერავს“ და სხვ., აგრეთვე ქართულ არაყს მიიღებს სამტრესტის მოსკოვის ღვინის ჩამომსხმელი ქარხნიდან.

ამ დღეებში მაღაზია კიდევ მიიღებს ნახევარ ტონამდე შაქარყინულს, ამდენსავე სიმინდის ფქვილს, 10 ტონა თუშურ ყველს, ერთ ვაგონ ხმელ ხილს, დიდძალ სასმელებს.

საახალწლო მისალოცი დეპეშები

დასასრულს უახლოვდება 1956 წელი. დღედაღამ არ წყდება მუშაობა თბილისის ცენტრალურ ტელეგრაფში. ახლა ტელეგრაფის მუშაკებს ხუთჯერ მეტი დეპეშების მიღება-გაგზავნა უხდებათ. თბილისელი მშრომელები მისალოცი დეპეშებს უგზავნიან ნათესავ-მეგობრებს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში — მოსკოვში, ლენინგრადში, ურალში, ყამრი მიწებზე, შორეულ აღმოსავლეთში, სამხრეთ პოლუსის ექსპედიციის წევრთა მისამართითაც კი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, უცხოეთის ბევრ სახელმწიფოში. დღეღამეში საშუალოდ 120-130 ათასი ცალი დეპეშის გაცვლა ხდება.

ბევრი მოქალაქე საახალწლო დეპეშას აბარებს წინასწარ. ეს მეტად უადვილებს ტელეგრაფის მუშაკებს კარგად დაამუშაონ ისინი და დროულად ჩააბარონ ადრესატს.

რუსთაველისა და მარჯანიშვილის მოედნებზე, რუსთაველის პროსპექტზე, ლენინის მოედანზე ორსართულიან მაღაზიაში, ცენტრალურ უნივერმაღში — სულ 10 ადგილს მოწყობილია საახალწლო მისალოცი დეპეშების მიმღები მოძრავი სალარობი. წინასწარ გაგზავნილი დეპეშები ადრესატს ჩაბარდება დანიშნულ ვადაზე — ახალ წლის დღეს.

ქალაქის ცენტრალურ ტელეგრაფს უკვე მიღებული აქვს თბილისის მცხოვრებთათვის ჩასაბარებელი და თბილისიდან სხვადასხვა ადგილას გასაგზავნი ათასობით საახალწლო მისალოცი დეპეშა. ბევრი მათგანი ადრესატს მიუტა მხატვრულად გაფორმებული ბლანკებით.

მოსახლეობა დიდი რაოდენობით გზავნის საახალწლო დეპეშებს ფოტოტელეგრაფით, რომლითაც შეიძლება როგორც წერილის, ისე სურათის გადაცემა. ფოტოტელეგრაფის მუშაობის დრო გადიდებულია ერთიორად.

სპორტის ამბები

საქალაქო ფეხბურთელთა შეხვედრები კრივში

[illegible] ბატჩი კრივში მინსკისა და თბილისის სპორტსმენთა ნაკრებ გუნდებს შორის.

პირველი ასპარეზობა, რომელიც საზეიმოდ ცერემონიალში გაიმართა, დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 5:4.

მეორე მატჩიც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტსმენთა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 6:4.

მაღალი სპორტული შედეგებისათვის

მიმდინარე სასპორტო სეზონში მოძმე რესპუბლიკების სპორტსმენებთან ერთად საქართველოს სპორტსმენებმა სხვადასხვა ასპარეზობაში, კერძოდ, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს და სპორტის ოსტატის ნორმები შეასრულეს.

ამ დღეებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის სათანადო ნორმებისა და მოთხოვნების შესრულებისათვის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა სპორტსმენთა ახალ ჯგუფს.

საქართველოდან სპორტის ოსტატის წოდება მიეკუთვნათ: ცურაობაში — ბ. ნიკიტინს („დინამო“), წყალში ხტომაში — მ. იუზბაშევს („კრასნოე ზნამია“), ტყვიის სროლაში — რ. ანანიკიანს („დინამო“).

ფინალური მატჩი

ყოველი სპორტული წლის მიწურულში, საკავშირო და რესპუბლიკური ჩემპიონატების დამთავრების შემდეგ, საქართველოში იმართება სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში. ეს შეჯიბრება ტრადიციულ ასპარეზობად გადაიქცა და დიდ ინტერესს იწვევს. მასში მონაწილეობას იღებენ საქართველოს ფეხბურთელთა უძლიერესი კოლექტივები.

წელს ასეთი ასპარეზობა მიმდინარეობდა 13-დან 20 დეკემბრამდე. შეხვედრები მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და ფინალში გავიდნენ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და რუსთაველის „ბურევესტნიკის“ გუნდები.

დასკვნითი ასპარეზობა გაიმართა 20 დეკემბერს. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს და სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასი მოიპოვეს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელებმა.

„აგიტატორის ბლოკნოტი“ № 23

ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოვიდა ყურნალი „აგიტატორის ბლოკნოტი“ № 23.

ყურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები:

მასალები საუბრებისათვის — გ. სიხარულიძე — ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის.

საagიტაციო მუშაობის პრაქტიკიდან — ა. გეგეჭკორი — თამარ შპარკო ლაპარაკობს ეკონომიაზე.

ვისწავლოთ მოწინავეებისაგან — ს. ცაციაშვილი — როგორ მომყავს ხილის უხვი მოსავალი.

გამოიყენეთ საუბარში — რას მოგვცემს შრომის ნაყოფიერების გადიდება ერთი პროცენტით?

აგიტატორის დასახმარებლად — ნ. ნაროუშვილი — აგიტატორის ენის შესახებ. პოლიტიკური ტერმინების ლექსიკონი.

საერთაშორისო თემაზე — უნგრეთის მშრომელთა გამარჯვება კონტრრევოლუციაზე.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

საქართველოს რადიოგადაცემათა პროგრამა 23 დეკემბრისათვის

პირველი პროგრამით

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — ვალსები, 07.45 — საბჭოთა სიმღერები, 11.00 — „პიონერთა დაფიონის“ საკვირაო გამოშვება, 11.30 — სპორტული გადაცემა — „ყურადღება, სტარტზე!“ 12.15 — პიესები ვიოლინისათვის მარინე იაშვილის შესრულებით, 12.45 — ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები პეტრე ამირანაშვილის შესრულებით, 16.30 — კონცერტი დაკვეთით, 17.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის — რადიოინსცენირება ჯეკ ლონდონის მოთხრობისა „მექსიკელი“, 20.30 — ნაწყვეტები ქართული კინოფილმებიდან.

რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით

21.00 — ლიტერატურული გადაცემა — რადიოინსცენირება შ. ამისულამიელის პოემისა „გომეწრის ხეობაში“ 21.35 — ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“.

მეორე პროგრამით

რადიოსადგურით 59.52 მეტრ ტალღაზე

21.00 — გრიგის საფორტეპიანო კონცერტი, 21.30 — პოპულარული საოპერო მუსიკის კონცერტი, 22.00 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი.

რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე

11.00 — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ მიმოხილვა, 18.00 — 19.00 — გადაცემა სომხურ ენაზე, 20.30 — 21.00— გადაცემა აზერბაიჯანულ ენაზე.

ღ ღ ე ს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ბახჩისარაის შადრევანი, **რუსთაველის სახელობის** — საქმიანი კაცი, **მარჯანიშვილის სახელობის** — მკაცრი ქალიშვილები, **გრიბოედოვის სახელობის** — საუცხოო შენადნობი, **სომხური დრამის** — დედინაცვალი, **მუსიკალური კომედიის** — ახალი სიმღერა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—ფითელქუდა (აბონემენტი № 25, 10 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ბიძია თომას ქოხი (10 ს.), **თოჯინების ქართული** — გალიაში (10 ს.), ბურატინოს თავგადასავალი (4 ს.),

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, კომკავშირელი, კოლხიდა, 26 კომისრის სახელობის, ოქტომბერი, კიროვის სახელობის პარკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი — აბეზარა, **ამირანი, სპარტაკი, დიდუბე, კოლმეურნე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ბაში-აჩუკი, **თბილისი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — სინდისი, **ისანი, ოფიცერთა სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — მეტოქენი.

მეუღლე ელენე, შვილები ნათელა, ნანული იუწყებიან

ნიკო ალექსის-ძე დავითაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 23-XII, 3 ს. ქალაქის I საავადმყოფოდან.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყობისა და თესლბრუნვის სამმართველოს